www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 21 დეკემბერი, 2009 წელი. №278 (2316) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

დროსა და სივრცეში
A12



ქართველთა წარმატებული შაბათი
A13



გაერთიანებული ტელეკომი

„გაერთიანებული ტელეკომის"
საახალწლო აქცია - ინტერნეტის უფასო ინსტალაცია ერთი თვის განმავლობაში

A4

# რა ხდება და რატომ ხდება ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე

გიორგი კავკასიძე
ცუგი, შვეიცარია

საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე დაახლოებით 6000 დასახელების პრეპარატი იყიდება. სხვადასხვა მონაცემებით ამ ბაზრის მოცულობა 150-160 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობისაა. სადაც იმპორტული პრეპრატების წილი მნიშვნელოვნად აღემატება ადგილობრივი წარმოების პრპეპარატების წილს.

ფარმაცევტული ბაზარი საკმაოდ დინამიურად ვითარდებოდა 2008 წლამდე, ხოლო რუსულ-ქართული ომისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე ბაზრის აქტივობა საგრძნობლად შემცირდა. შესაბამისად, შემცირდა იმპორტის მოცულობაც. თუკი გარე ფაქტორებმა საგრძნობლად იმოქმედეს ბაზრის ოდენობაზე, ბაზრის სტრუქტურა პრაქტიკულად არ შეცვლილა. თანამედროვე ქართული ფარმაცევტული ბაზარი ოლიგოპოლიურია, რომელსაც სრულად აკონტროლებს სამი მსხვილი დისტრიბუტორული კომპანია.

ოლიგოპოლიურ ბაზარზე თითოეული (მსხვილი) ფირმის გადაწყვეტილება გავლენას ახდენს საბაზრო სიტუაციაზე, და, ამავე დროს, ოლიგოპოლისტი ფირმა იძულებული ხდება, გაითვალისწინოს ბაზრის სხვა მსხვილი მოთამაშის შესაძლო რეაქციაც.

გაგრძელება A3 გვერდზე




# ქუთაისში მომხდარი ტრაგედიის მიზეზები

*აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ქუთაისში მომხდარი ტრაგედიის ფაქტზე - "საბრძოლო დიდების" მემორიალის აფეთქებას დედაშვილის სიცოცხლე შეეწირა. "დიდების მემორიალის" დემონტაჟისას უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის, ეჭვმიტანილის სტატუსით, უკვე დაკავებულია "საქფეთქმრეწვის" ტექნიური დირექტორი ავთანდილ დარსაველიძე. მემორიალი, დემონტაჟის მიზნით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის დაკვეთით, სწორედ კომპანია "საქფეთქმრეწვმა" ააფეთქა.*

როგორც მთავარ პროკურატურაში განმარტავენ, ავთანდილ დარსაველიძე უშუალოდ იყო პასუხისმგებელი სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესების დაცვაზე, რაც მან არ შეასრულა. მთავარი პროკურორის მოადგილის დავით საყვარელიძის ინფორმაციით, დაირღვა კანონით დადგენილი ნორმატივები, რომლითაც ასეთი ტიპის სამუშაოებისას უსაფრთხოების წესების დაცვა ხორციელდება.

გაგრძელება A6 გვერდზე



24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FREE INDUSTRIAL ZONE
RAKIA GEORGIA
HYUNDAI

### ნატო რუსეთს საქართველოს ახსენებს

"ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მოითხოვს, რუსეთმა პატივი სცეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას," - ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდრეს ფოგ რასმუსენმა ტელეკომპანია "რასიას" გადაცემა "ვესტი სუბოტასთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

რასმუსენის თქმით, "უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებში ნატო-რუსეთმა უნდა ითანამშრომლონ".

### ოსი მოქალაქეების დედები მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრას ითხოვენ

ე.წ. სამხრეთ ოსეთის იმ მოქალაქეების მშობლები, რომლებიც ცხინვალის რეჟიმის მტკიცებით, ქართულ მხარეს ჰყავს დაკავებული, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრას ითხოვენ.

ცხინვალის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის ცნობით, აღნიშნული შეხვედრის ორგანიზების თხოვნით მათ მოძრაობა "სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერს ზურაბ ნოღაიდელს მიმართეს.

" ინტერპრესნიუსის " ინფორმაციით, ნოღაიდელთან ცხინვალში გუშინ გამართულ შეხვედრაზე ქართული მხარის მიერ დაკავებულების დედებმა განაცხადეს, რომ ცხინვალში დაკავებული ქართველი მოზარდების გათავისუფლების შემდეგ მათ შვილების დაბრუნების იმედი დაკარგეს.

"ჩვენ ნოღაიდელს მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის ორგანიზება ვთხოვეთ. არ გვესმის, როგორ არ ჩამოვიდნენ სამხრეთ ოსეთში ქართველი დედები, ჩვენი პრეზიდენტი ხომ მათ ამის საშუალებას აძლევდა. ჩვენ კი შვილებთან ტელეფონით დაკავშირების და იმის გაგების საშუალებაც კი არ გვაქვს, ცოცხლები არიან თუ არა ისინი", - განაცხადა ვენერა თიბილოვამ, რომელიც ერთ-ერთი უგზო-უკვლო დაკარგული ალან ხაჩიროვის დედაა.

ცხინვალის რეჟიმის მიერ ქართველი მოზარდების გათავისუფლებას მოსკოვი რეგიონში ვითარების სტაბილიზებისკენ სწრაფვად აფასებს. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი.

"იმ პირობებში, როცა ქართული მხარე პროვოკაციებს და ქართულ-ოსური საზღვრის რაიონში სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების დაკავებას აგრძელებს, ასევე, უარს ამბობს 2008 წლის შემოდგომაზე დაკავებული ხუთი ოსის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენაზე, სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტისთვის ამ ნაბიჯის გადადგმა რთული იყო", - ნათქვამია განცხადებაში.

აქვე აღნიშნულია, რომ ამ ნაბიჯით ცხინვალმა "პოლიტიკური სიმწიფისა და გამძლეობის დემონსტრირება მოახდინა" და "რეგიონში ვითარების სტაბილიზებისა და ჰუმანიტარული საკითხების კონსტრუქციული გადაჭრისკენ საკუთარი მისწრაფება" დაამტკიცა.

ცხინვალის რეჟიმმა სამი ქართველი მოზარდი - ლევან ხმიადაშვილი, ვიქტორ ბუჩუკური და გიორგი არჩვაძე 19 დეკემბერს გაათავისუფლა.

კოკოითის სეპარატისტული მთავრობის მტკიცებით, ამ დროისთვის საქართველოს ციხეებში სასჯელს ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის ფედერაციის 40 მოქალაქე იხდის.

### ევროკავშირმა სატელიტური თვალთვალი დაიწყო

ევროკავშირმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე სატელიტური თვალთვალი დაიწყო.

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ინფორმაციით, მონიტორებს უკვე აქვთ საშუალება, რომ ევროკავშირის თანამგზავრული ცენტრიდან მონაცემები მიიღონ.

"ჩვენ გამოსახულებას ადრეც ვიღებდით, მაგრამ ბოლო პერიოდში, ამან ინტენსიური ხასიათი მიიღო. მიუხედავად ამისა, ეს ადგილზე მონიტორინგის განხორციელებას სრულფასოვნად ვერ შეცვლის", - აღნიშნულია სადამკვირვებლოს მისიის განცხადებაში.

გავრცელებული ინფორმაციით, მონაცემები თავს ბრიუსელში, ევროკავშირის თანამგზავრულ ცენტრში მოიყრის. თანამგზავრები დააფიქსირებენ ადამიანებისა და ტექნიკის გადაადგილებას. ისინი მშენებარე სამხედრო ობიექტებსაც დააკვირდებიან.

# ოპოზიციის აქცია ქუთაისში

*დღეს დედაქალაქიდან ქუთაისში არასაპარლამენტო ოპოზიციის, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ჩავლენ და 19 დეკემბერს მემორიალის აფეთქებისას მომხდარი ტრაგედიის გამო მიმდინარე საპროტესტო აქციის მონაწილეებს შეუერთდებიან.*

გუშინ საღამოსთვის არ არსებობდა დაზუსტებული ინფორმაცია, კონკრეტულად რომელი პოლიტიკური პარტიის ლიდერები ჩავლენ დღეს ქუთაისში. არც სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენელთა ვინაობა იყო ცნობილი. ზოგადი მონაცემებით, დედაქალაქიდან ქუთაისში ჩასვლას აპირებენ რამდენიმე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ლიდერი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საპროტესტო აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი იქნება "მემარჯვენეების" ადგილობრივი წარმომადგენლობა. ამის შესახებ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა კაციტაძემ გვაცნობა.

როგორც "24 საათს" "კონსერვატორმა" კახა კუკავამ განუცხადა, ქუთაისში გამგზავრებას ის არ აპირებს. აქციაში პარტიის ადგილობრივი წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას.

"დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" წარმომადგენელ პეტრე მამრაძის განმარტებით, მათი პარტია გახლდათ ერთ-ერთი ინიციატორი ჯერ კიდევ 19 დეკემბერს, ტრაგედიის დღეს მოწყობილი საპროტესტო აქციისა. აქედან გამომდინარე, ნოღაიდელის პარტია დღევანდელ პროტესტშიც აქტიურად ჩაებმება. **"ეს არის ნამდვილი ტრაგედია. სააკაშვილის მორიგ ახირებას დედა-შვილი შეეწირა. სააკაშვილი და მისი პოლიტიკური რეჟიმი ქვეყნის მმართველობას უნდა ჩამოშორდეს. ამავდროულად ჩვენს პარტიას მიაჩნია, რომ დაუშვებელია სააკაშვილის გადაყენება მასობრივი მღელვარების პირობებში. ასეთი რამ საქართველოს სიკეთეს არ მოუტანს. ჩვენ გვსურს, მშვიდობიანად, არჩევნების გზით მივაღწიოთ ხელისუფლების ცვლილებას,"** - შენიშნა მამრაძემ.

ქუთაისის აქციაში უშუალოდ მიიღებს მონაწილეობას მოძრაობა "ერთიანი საქართველოსთვის" წარმომადგენელი ეკა ბესელია. **"ეს არის ერთდღიანი საპროტესტო აქცია, რომელზეც გაცხადდება რამდენიმე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ერთიანი პოზიცია მომხდარი ფაქტის მიმართ. კიდევ ერთხელ გავამახვილებთ ყურადღებას ხელისუფლების პასუხიმგებლობის საკითხზე",** - განუცხადა ბესელიამ "24 საათს".

მომხდარი ფაქტის შესახებ "24 საათმა" გუშინ კომენტარი სთხოვა "საქართველოს გზის" ლიდერ სალომე ზურაბიშვილს. **"ის, რაც ქუთაისში მოხდა, მთელი საქართველოს შეურაცხყოფაა. შესაბამისად, ჩვენი აქცია არის შეურაცხყოფის წინააღმდეგ მიმართული აქცია,"** - განაცხადა ზურაბიშვილმა ჩვენთან საუბრისას.

*საკუთარი ინფორმაცია*

# კადრების ოპტიმიზაცია თავდაცვის სამინისტროში

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში უკვე ორი კვირაა, კადრების ოპტიმიზაციის მიზნით, სამხედრო მოხელეების გადამოწმების პროცესი მიმდინარეობს. გავრცელებული ინფორმაციით, თავდაცვის უწყებიდან 180-მდე პოლკოვნიკი და ვიცე-პოლკოვნიკი გაათავისუფლეს.

ამის მიზეზი ის გახდა, რომ მათ ტესტირება ვერ გაიარეს. **"პირებს, რომლებიც დაკავებული თანამდებობებისთვის შესაბამის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ, სამსახურიდან უშვებენ. ხოლო ისინი, ვინც ტესტირებასა და გასაუბრებას წარმატებით გადიან, მონაცემთა ახალ ბაზაში ხვდებიან. ეს ეხება როგორც სამინისტროს ყველა დეპარტამენტის თანამშრომელს, ასევე სამხედრო პირებს,"** - აცხადებენ თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში.

არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა თავდაცვის სამინისტროს მიერ სამხედრო მოხელეების გადამოწმება ჯარის მიმართ უნდობლობად შეაფასეს. **"მას შემდეგ, რაც საქართველოს თავდაცვის მინისტრად ბაჩო ახალაია დაინიშნა, თავდაცვის სფეროს განვითარება შეწყდა და უკუსვლა დაიწყო. ამის უპირველესი მიზეზია სამხედრო პირებში მორალური ფასეულობების განადგურების მცდელობა. ნებისმიერ ქვეყანაში სამხედრო პირის სიძლიერე მორალური სიმტკიცეზეა დაფუძნებული. ბაჩო ახალაიამ კი მინისტრად დანიშვნისთანავე სამხედროების მორალზე მიიტანა შეტევა. ამის პირველი მაგალითი მუხროვანის ამბოხებისას საქმეში პოლიციის ჩართვა და სამხედროების ყაჩაღებივით დაპატიმრება იყო. დღესდღეობით კი ეს პროცესი თავდაცვის უწყებაში მომუშავე პირებისთვის პირდაპირი უნდობლობის გამოცხადებით გრძელდება. ჩემი აზრით, ის ფაქტი, რომ სამხედრო სფეროში წლების მოღვაწეობის შემდეგ სამხედრო მაღალჩინოსანს პროფესიონალიზმის ხარისხს უმოწმებენ, მათთვის ძალზე შეურაცხმყოფელი უნდა იყოს,"** - განაცხადა "საქართველოს გზის" ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა.

*საკუთარი ინფორმაცია*

# შეხვედრა "პრიმა-ვერეში"

გუშინ სასტუმრო "პრიმავერეში" სამოქალაქო საზოგადოებისა და არასაპარლამენტო ოპოზიციის შეხვედრა გაიმართა. საუბრის მთავარ თემას მერის პირდაპირი არჩევნები წარმოადგენდა. ოთხსაათიანი შეხვედრის დასრულების შემდეგ მონაწილეებმა განაცხადეს, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია, შესაძლოა, ერთიან კანდიდატზე შეჯერდეს.

საპარლამენტო ოპოზიციის წევრის გია ცაგარეიშვილის განმარტებით, პოლიტიკური პარტიების პოზიცია 20 დღეში ჩამოყალიბდება და ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობას აპირებენ, სავარაუდოდ, ერთი კანდიდატით მიიღებენ მონაწილეობას.

"თუ საქართველოში მაისის არჩევნები გაყალბდება, ეს იქნება უმთავრესი გამაღიზიანებელი საზოგადოებისთვის, რათა უსწრაფესად შეცვალოს ხელისუფლება საქართველოში. კიდევ ერთი არჩევნების გაყალბებას ქართველი ხალხი სააკაშვილს არ აპატიებს", - აღნიშნა გია ცაგარეიშვილმა.

" კონსერვატიული პარტიის" ლიდერის ზვიად ძიძიგურის თქმით, ხელისუფლებას არ უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ ოპოზიციას ერთიანი კანდიდატი არ ეყოლება. ძიძიგურის განცხადებით, სამოქალაქო საზოგადოების რჩევაა, რომ არჩევნებში მონაწილეობა იქნება თუ ბოიკოტი, ოპოზიცია ერთიანი იყოს.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს "ხალხის პარტიის" ლიდერმა კობა დავითაშვილმა განუცხადა, ერთიან კანდიდატურაზე შეჯერება აუცილებელია.

"ის, რომ საზოგადოების მხრიდან მოხდა ერთიანობის აუცილებლობის გააზრება, ეს წინ გადადგმული ნაბიჯია. მიმდინარეობს შეთანხმება მეთოდებზე, როგორ გამოვავლინოთ ერთიანი კანდიდატი", - აღნიშნა დავითაშვილმა.

რაც შეეხება არჩევნების ბოიკოტირებას, დავითაშვილის განცხადებით, მათ მიაჩნიათ, რომ მერის არჩევნები სააკაშვილის ხელისუფლების დასრულებისთვის ერთ-ერთი გზა არის.

რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძის თქმით, შეხვედრაზე ოპოზიციას მოუწოდეს, რომ როგორმე ერთიან კანდიდატურაზე შეთანხმდნენ, თუმცა, ამ ეტაპზე ლორთქიფანიძე ვერ აკონკრეტებს, შეთანხმდება თუ არა ოპოზიცია ერთიან კანდიდატურაზე.

სამოქალაქო საზოგადოებისა და ოპოზიციის შეხვედრაზე დოკუმენტიც მიიღეს, სადაც საარჩევნო გარემოს შეცვლასთან დაკავშირებით კონკრეტული მოთხოვნებია ჩამოყალიბებული. ამის შესახებ, "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა.

"ამ დოკუმენტში ღიად წერია, რომ თუ ხელისუფლება საარჩევნო გარემოს არ შეცვლის, არ გაათავისუფლებს მედიას, არ შეცვლის ბარიერს, არ შეცვლის პოლიტიზირებულ პოლიციას, ასეთ შემთხვევაში არჩევნებს აზრი არ აქვს და ხალხს ექნება უფლება, ხელისუფლებასთან მიმართებაში სერიოზული გადაწყვეტილება მიიღოს", - აღნიშნა ბურჯანაძემ.

მოძრაობა "თეთრების" ლიდერის თემურ შაშიაშვილის განცხადებით კი, შეხვედრაზე მნიშვნელოვან შეთანხმებას მიაღწიეს, რასაც დოკუმენტის სახით მოაწერეს ხელი. მისი თქმით, გადაწყდა, რომ შეიქმნება 10-კაციანი ჯგუფი, რომელიც ერთიანი პროგრამის შექმნაზე იმუშავებს, რათა არსებულ ხელისუფლებას წერტილი დაესვას. აღნიშნულთან დაკავშირებით აპრილში სახალხო კრება გაიმართება, სადაც გადაწყდება, თუ რა ფორმით მიიღებს ოპოზიცია არჩევნებში მონაწილეობას.

*საკუთარი ინფორმაცია*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# რა ხდება და რატომ ხდება ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე

პირველი გვერდიდან

ამიტომ, როგორც წესი, ბაზრის მსხვილი მოთამაშეები ურიგდებიან ერთმანეთს, რათა თავიდან აიცილონ "გაუგებრობები" და ინაწილებენ და აკონტროლონ ბაზრის სხვადასხვა სეგმენტებს.

ბაზრის ფასების კონტროლისა და კარტელური გარიგებების შედეგად ხდება ფართო მოხმარების (პოპულარული) პრეპარატების ფასების უსასრულო ზრდა.

ასე მაგალითად, 2008 წლის განმავლობაში პრედუქტალის გასაყიდი ფასი 15,30-დან - 32, 45 ლარამდე გაიზარდა, ამოქსიცილინისა 1,48-დან - 3,20 ლარამდე, გინიპრალის 2,50-დან - 9 ლარამდე, მოვალისის 16, 38-დან - 22 ლარამდე და ა.შ.

ფარმაცევტული პრეპარატების ფასების ზრდა შესაბამისად ზრდის პაციენტთა მკურნალობის ხარჯებსაც. დღევანდელ საქართველოში მკურნალობის საფასურის დაახლოებით 50 პროცენტს მედიკამენტების ხარჯი შეადგენს. მაშინ როდესაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მედიკამენტების საფასური მკურნალობის ხარჯების 20 პროცენტს არ აღემატება. ხოლო დასავლეთ ევროპაში ეს წილი კიდევ უფრო დაბალია.

იმის გამო, რომ საქართველოში ჯერ არ არსებობს ჯანმრთელობის დაზღვევის დახვეწილი სისტემა , პაციენტებს საკუთარი ჯიბიდან უხდებათ მედიკამენტების საფასურის გადახდა. ეს, რასაკვირველია, იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას, რაც მედიკამენტების მზარდი ფასების ფონზე სავსებით შესაძლებელია, რომ ფართომასშტაბიან სოციალურ პროტესტში გადაიზარდოს.

ამ სიტუაციას ამძიმებს ის ფაქტი, რომ ოლიგოპოლისტი კომპანიები აკონტროლებენ საცალო ბაზარსაც აფთიაქების მსხვილი ქსელები აქვთ ავერსს, PSP-ს, GPS-ს რომლებიც განლაგებულია როგორც თბილისში, ასე საქართველოს სხვა ქალაქებშიც.

ამას ემატება ფარმეცევტული დისტრიბუტორი-ოლიგოპოლისტების მფლობელობაში არსებული სამკურნალო დაწესებულებებიც. ყოველივე ამის გამო, პრაქტიკულად შეუძლებელია არა-ოლიგოპოლისტი დისტრიბუტორების მიერ კონკურენტუნარიანი პრეპარატების შეტანა-გასაღება როგორც ღია ფარმაცევტულ ბაზარზე (აფთიაქები), ასევე სამკურნალო დაწესებულებების შიდა აფთიაქებში. ოლოგიპოლისტი კომპანიები აკონტროლებენ პრეპარატების მიწოდების ჯაჭვს, დაწყებულს იმპორტიდან, დამთავრებულს მომხმარებლამდე (პაციენტამდე), რაც დასავლეთის ქვეყნებში ყოვლად დაუშვებელია.

საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით "წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ კანონში" მიღებულ იქნა ცვლილებები, რომლებიც 2009 წლის 15 ოქტომბერს შევიდა ძალაში. ამ ცვლილებების ძირითადი მიზანია, "გამარტივდეს ფარმაცევტული პრეპარატების შემოტანისა და გასაღების პროცედურა", რამაც (კანონპროექტის ავტორების აზრით) ხელი უნდა შეუწყოს ფარმაცევტულ ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას.













**რამდენადაც პარადოქსალურად არ უნდა ჟღერდეს, ამ ცვლილებების ძალაში შესვლა კიდევ უფრო გაამყარებს მონოპოლისტების ისედაც ძლიერ პოზიციებს შემდეგი მიზეზების გამო:**

1. მსხვილი ფარმაცევტული მწარმოებლები არ არიან დაინტერესებულები პრეპარატების მცირე პარტიების პირდაპირ გაყიდვაში (ექსპორტში).

როგორც წესი, თითოეული დასახელების პრეპარატის საექსპორტო პარტიის მინიმალური ღირებულება > 50'000 აშშ $ ტოლია (Aventis, Pfizer, GSK, Sanofi, და სხვა).

2. ეკონომიკური კრიზისის პირობებში მკვეთრად შეიზღუდა მყიდველების სანდოობა, რაც მყიდველისთვის მხოლოდ წინასწარი გადახდით ანგარიშწორებას ნიშნავს. მცირე და საშუალო დისტრიბუტორებს არ აქვთ საშუალება, 3-6 თვით საკუთარი ბრუნვიდან ამოიღონ 200'000 $-300'000 $ კაპიტალი. მხოლოდ მსხვილ დისტრიბუტორებს (ავერსი, PSP...) აქვთ ფინანსური რესურსი, რომ დააკმაყოფილონ მწარმოებლების ეს მოთხოვნები

ა) არსებობს საბანკო კრედიტების აღების თეორიული შესაძლებლობა, რაც იმპორტირებული პროდუქციის ფასს (თვითღირებულებას იმპორტიორისთვის) კიდევ უფრო გაზრდის და პროდუქციის არაკონკურენტუნარიანობას გააღრმავებს

3. წვრილ და საშუალო დისტრიბუტორებს მოუწევთ საბითუმო საწყობების ძებნა (საზღვარგარეთ) და მათთან ურთიერთობების დამყარება. ეს კი ნიშნავს პრეპარატების შესყიდვას მწარმოებლის ფასებთან შედარებით მაღალ ფასებში (იგულისხმება 50'000 აშშ $ ღირებულების პარტია). საბითუმო საწყობიდან (whole seller) შესყიდული პროდუქციის ფასი სულ ცოტა 10-15 პროცენტით მაღალი იქნება მწარმოებლისგან შესყიდული იგივე პროდუცქიის ფასზე. ეს კი პროდუქტის ფასს არაკონკურენტუნარიანს ხდის

4. ბევრ უცხოელ მსხვილ მწარმოებელს ექსკლუზიური მიწოდებისა და დისტრიბუციის ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული იმ კომპანიებთან, რომლებიც საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე დომინირებენ. ამ მწარმოებლების პროდუქციის პარალელურმა იმპორტმა შეიძლება გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი და შედეგად პარალელური იმპორტის არხების დახურვა.

5. ის მოლოდინი, რომ საცალო გაყიდვის ობიექტების (აფთიაქი, სააფთიაქო ჯიხური) რეგისტრაციის გამარტივება გამოიწვევს ფარმაცევტული ბაზრის "დემონოპოლიზაციას" - ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ამ "ახალ" ობიექტებს პროდუქციის უდიდესი ნაწილის შესყიდვა ისევ "ძველი" მონოპოლისტებისგან მოუწევთ ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო.

6. გაცილებით უფრო სავარაუდოა, რომ მონოპოლისტებმა გახსნან ახალი სავაჭრო წერტილები სუპერმარკეტებში ან სხვა ისეთ ობიექტებზე, სადაც ადრე ფარმაცევტული პროდუქციით ვაჭრობა შეძლუდული ან აკრძალული იყო, ე.ი. გაიმაგრონ პოზიციები როგორც საბითუმო, ასევე საცალო სეგმენტში

7. იმის გამო, რომ ფარმაცევტული ბაზრის მონოპოლისტები აკონტროლებენ საცალო ბაზრის დიდ სეგმენტსაც (აფთიაქები, სამკურნალო დაწესებულებები), ახალ, მსხვილ (დასავლურ?) ფარმაცევტულ დისტრიბუტორებსაც კი გაუჭირდებათ საქართველოს ბაზარზე ფეხის მოკიდება, რადგან პრობლემები შეექმნებათ "საცალო გაყიდვის სეგმენტში".

ცალკე განსახილველია პრეპარატების ხარისხისა და ამ ხარისხზე პასუხისმგებლობის საკითხი

1. ცვლილებების თანახმად, ნებისმიერ იურიდიულ პირს შეუძლია ახალი პრეპარატის რეგისტრაცია მწარმოებელთან შეთანხმების გარეშე. ეს ყოვლად დაუშვებელია რამდენიმე მიზეზის გამო:

ა) თუ პრეპარატის მომწოდებელს არ ექნება მწარმოებლის თანხმობა ახალი პრეპარატის რეგისტრაციეზე, მაშინ ეს მაწარმოებელი არ იქნება პრეპარატის ხარისხზე პასუხისმგებელი.

ბ) თუ ფარმაცევტულმა კომპანიამ რაიმე მიზეზის გამო "უკან გამოიძახა" (Recall) ჯანმრთელობისთვის საშიში რომელიმე პრეპარატი ან პრეპარატის კონკრეტული პარტია, ეს გამოძახება საქართველოს არ შეეხება. რადგან მწარმოებელს არ ეცოდინება, რომ პრეპარატი საქართველოში შემოვიდა.

2. ასევე ახალი ცვლილებები პრეპარატების შემომტანს ათავისუფლებს ვალდებულებისგან, რომ შემოტანილი პრეპარატის შეფუთვა და ანოტაცია იყოს ქართულ ან როგორც ეს "ძველ" კანონში წერია - მოსახლეობისთვის გასაგებ სხვა უცხო ენაზე (ალბათ იგულისხმება რუსული და ინგლისური ენები). ახალი კანონის მიხედვით იმ პრეპარატების დასახელება, ხმარების წესი და ანოტაცია, რომლებიც საბერძნეთიდან, დანიიდან ან ესპანეთიდან შემოვა, "მოსახლეობისთვის გაუგებარ" ბერძნულ, დანიურ ან ესპარულ ენებზე შეიძლება იყოს. ამას (უცხო ენების არცოდნას) კი პრეპარატის არასწორი გამოყენება შეიძლება მოჰყვეს

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო, წამლის კანონში შეტანილი ცვლილებები ვერ შეცვლის ოლიგოპოლურ ბაზარს და საფრთხეს შეუქმნის პრეპარატების მოხმარების უსაფრთხოებას.

ზოგიერთი ქართველი ექსპერტის მოსაზრება, რომ ფარმაცევტულ ბაზარს კონტროლი არ სჭირდება და ბაზარი ყველაფერს თვითონ დაარეგულირებს - უსუსური და რეალობას მოკლებულია. პრაქტიკამ ანახა რომ ბაზარი ვერ არეგულირებს მონოპოლიებისა და ოლიგოპოლიების მოქმედებას. სწორედ ამ მიზეზით შეიქმნა ანტიპონოპოლიური სამსახურები და შესაბამისი კანონმდებლობა ჯერ აშშ-ში, ხოლო შემდეგ ევროპასა და სხვა ქვეყნებში. თითქმის მთელ მსოფლიოში კარტელური გარიგებები კანონით ისჯება, საქართველოს გარდა.

იმისათვის რომ ფარმაცევტული ბაზარი შედარებით კონკურენტული გახდეს და დაიხუროს ზემოგების მიღების გზები, საჭიროა მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებების დახვეწა და რამდენიმე პუნქტის დამატება:

1. საქართველოში ახალ;ი პრეპარატის რეგისტრაცია მხოლოდ მწარმოებლის განაცხადის საფუძველზე უნდა ხდებოდეს

2. ყველა მწარმოებელს დაევალოს, რომ ოფიციალურად დააფიქსირონ მათ მიერ წარმოებული და საქართველოში რეგისტრირებული ყოველი პროდუქტის ფასი CIP -INCOTERMS, ასევე წარმოადგინონ იგივე პროდუქციის ფასები სხვა ქვეყნების ბაზრებისთვის (კანადა, ესპანეთი, პორტუგალია,იტალია, ჩეხეთი, თურქეთი, ტუნისი - ეს ის ქვეყნებია, სადაც პრეპარატების ფასები ტრადიციულად დაბალია)

3. განისაზღვროს იმპორტირებული პრეპარატების მაქსიმალური საცალო ფასი ფორმულით $P2 = P1 + P1 \times X\%$ (P2 - საბოლოო, საცალო ფასი, P1 - დაფიქსირებული CIP ფასი, X - მაქსიმალური ნამატი)

ა) ნამატი უნდა გამოითვალოს დიფერენცირებულად, პრეპარატების საიმპორტო (CIP INCOTERMS) ფასების შესაბამისად.

ბ) მაგალითად 25 ამერიკულ დოლარამდე ღირებულების პრეპარატებისთვის მაქსიმალური ნამატი + 50%, 25$-75$ ღირებულების პრეპარატებისთვის + 40%, ხოლო >75$ ღირებულებისთვის - მაქსიმალური ნამატი + 20%

4. სტატისტიკურად აღირიცხოს როგორც იმპორტული, ასევე ადგილობრივად წარმოებული პრეპარატების გავრცელება-გაყიდვა

5. შეიქმნას პრეპარატების ხარისხის კონტროლის დამოუკიდებელი ლაბორატორია, ან გაფორმდეს ხელშეკრულება იგივე პროფილის მქონე რომელიმე დასავლურ ლაბარატორიასთან.

6. შეიქმნას ფარმაცევტული პროდუქციის ხარისხისა და ფასების მარეგულირებელი სამსახური და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა

ა) ყოფილი წამლის სააგენტოს პროტოტიპი, გაფართოებული უფლებებით.

რაც შეეხება წამლის ხარისხს და უსაფრთხოებას, საქართველომ უნდა მიიღოს აღიარებითი რეგისტრაციის ნორმა ყველა პრეპარატზე, რომელთა რეგისტრაციასაც მოითხოვენ მწარმოებლები, თუ ეს პრეპარატი რეგისტრირებული იქნება აშშ-ში ან კანადაში ან ევროკავშირის ქვეყნებში. რაც შეეხება შეფუთვასა და ანოტაციას - "ძველი" მოთხოვნა ძალაში უნდა დარჩეს ე.ი. მხოლოდ ქართული , რუსული ან ინგლისურენოვანი შეფუთვა.

თუკი საქართველოს სახელმწიფო ზრუნავს მის მოსახლეობაზე, მაშინ ჯანმრთელობის დაცვა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყოველი მოქალაქისთვის (საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 37, პარაგრაფი 1). ხალხი არ უნდა ილუპებოდეს სასიცოცხლო მნიშვნელობის პრეპარატების ხელმიუწვდომლობის გამო.

## ხურჩაში დაკავებული მგზავრები გაათავისუფლეს

19 დეკემბერს, რუსი ოკუპანტები აფხაზეთის ე.წ ადმინისტრაციულ საზღვართან ქართველებს თავს დაესხნენ. მათ 10-მდე მიკროავტობუსი დააკავეს, რომელშიც გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლების მოსახლეობა იმყოფებოდა. ისინი ზუგდიდიდან ბრუნდებოდნენ. მგზავრებს შორის მცირეწლოვანი ბავშვებიც იყვნენ. ისინი ჯარიმის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს. აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენლობის უფროსის, თორნიკე კილანავას განცხადებით, ყველა დაკავებული, გარდა ერთი პიროვნებისა, რომელსაც ჯარიმის გადასახდელი თანხა არ გააჩნდა, ამ დროისთვის საკუთარ სახლებში იმყოფება. "დაკავება გუშინ ნაშუადღევს ხურჩის ადმინისტრაციულ საზღვარზე მოხდა. რუსმა მესაზღვრეებმა დააკავეს როგორც ფეხით მოსიარულეები, ასევე რამდენიმე სამგზავრო მიკროავტობუსი. დაკავებულებს ჯარიმები გადაახდევინეს და გაათავისუფლეს, ტყვეობაში ერთი ქართველი რჩება, რომელმაც თანხა ვერ გადაიხადა და ჩვენი ინფორმაციით, გალის იზოლატორში იმყოფება", - განაცხადა კილანავამ.

რუსი მესაზღვრეები ყველა ე.წ. საზღვარს აკონტროლებენ და ზუგდიდის რაიონში გადასვლას კატეგორიულად კრძალავენ.

## ცაგარეიშვილმა განათლების სამინისტროში კანონდარღვევები აღმოაჩინა

ოპოზიციონერმა დეპუტატმა გია ცაგარეიშვილმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში კანონდარღვევის ფაქტები აღმოაჩინა.

" ინტერპრესნიუსის " ცნობით, დეპუტატი ამ კანონდარღვევებზე დღეს, განათლების ლიგის პრეზიდენტ მანანა ნიკოლაიშვილთან ერთად ისაუბრებს. ცაგარეიშვილის განცხადებით, დარღვევები ამ უწყების ერთ-ერთი სტრუქტურას ეხება, თუმცა, ცაგარეიშვილმა როგორც კონკრეტული დარღვევების, ისე ამ სტრუქტურის წინასაწარ დასახელებისგან თავი შეიკავა. მისივე თქმით, გამორიცხულია განათლებისა და მეცნიერების ყოფილ მინისტრ ნიკა გვარამიას ამ კანონდარღვევების შესახებ არ სცოდნოდა.

განათლებისა და მეცნიერების ამჟამინდელი მინისტრი დიმიტრი შაშკინი კი საქართველოს 70-მდე რაიონის ქალაქისა და სოფლის 150 საჯარო სკოლის დირექტორს შეხვდა. შაშკინმა დირექტორებს განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით საკუთარი ხედვა გააცნო.

მან სფეროში არსებულ კონკრეტულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე ისაუბრა. შეხვედრაზე მინისტრმა ყურადღება ეროვნულ სასწავლო გეგმაში ბოლო დროს განხორციელებულ ცვლილებაზე გაამახვილა. კერძოდ, მოსწავლის ტრიმესტრული და წლიური ნიშნის გამოთვლის წესზე.

დიმიტრი შაშკინის განცხადებით, ახალი მექანიზმით მოსწავლეს არც ერთი მეათედი ქულა არ ეკარგება და ობიექტურად ასახავს მის ცოდნას. მინისტრმა დირექტორებს დაავალა აღნიშნული ცვლილების არსი ყველა მოსწავლეს, მასწავლებელსა და მშობელს სწორად და დეტალურად აუხსნას, რათა შექმნილი გაუგებრობა საბოლოოდ აღმოიფხვრას.

## აქცია ნაგავსაყრელის მშენებლობის წინააღმდეგ

გუშინ, სოფელ ნორიოსთან ადგილობრივმა მოსახლეობამ, "საქართველოს მწვანეთა პარტიამ" და "ეკოლოგიური სამართლის ცენტრმა" საპროტესტო აქციას გამართეს. ისინი სოფელ ნორიოსთან ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობას აპროტესტებდნენ.

"მწვანეთა პარტიის" ინფორმაციით, სოფელ ნორიოსთან ნაგავსაყრელი საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური გადაწყვეტილების საფუძველზე შენდება. სააგენტო "პირველის" ცნობით, ნაგავსაყრელის მშენებლობას ადგილობრივი მაცხოვრებლებიც აპროტესტებენ. მათი განაცხადებით, ნაგავსაყრელი მათ ჯანმრთელობაზე უარყოფით ზეგავლენას მოახდენს. სააგენტო " ინტერპრესნიუსის " ინფორმაციით, აქციას "ლეიბორისტული პარტიაც" შეუერთდა.

პარტიის ერთ-ერთი ლიდერის პაატა ჯიბლაძის განცხადებით, ამ ისტორიულ ადგილზე, რომელიც მარტყოფის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაა, ნაგავსაყრელის გადატანა გაუმართლებელია. მისივე თქმით, ნაგავსაყრელისთვის საჭირო გათხრებისას სამ მეტრზე წყალიც კი ამოვიდა, რაც იმას ადასტურებს, რომ ნაგავსაყრელის გადატანის შემთხვევაში ეკოლოგიური საფრთხეა მოსალოდნელი.

ჯიბლაძე პრეზიდენტს ნაგვის გადამამუშავებელი ქარხნის აშენებისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, უახლოესი წლების განმავლობაში სოფლების ნორიოს თუ მარტყოფის მოსახლეობისგან დაცლა გარდაუვალი იქნება.

## მიხეილ სააკაშვილმა ბათუმში ახალი სასტუმრო კომპლექსის პროექტის პრეზენტაცია გამართა

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბათუმში დღეს ახალი სასტუმრო კომპლექსის პროექტის პრეზენტაცია გამართა.

კანადელი არქიტექტორის დიზაინით დაპროექტებული კომპლექსის "ბათუმის კარიბჭე" მშენებლობა მომავალ წელს დაიწყება და 2011 წელს დასრულდება.

"ბათუმის კარიბჭე" ბათუმის სანაპიროზე იახტკლუბის გვერდით აშენდება. სასტუმრო კომპლექსი სპორტულ, სავაჭრო და გასართობ ცენტრებს გააერთიანებს. 40-სართულიან შენობას სვანური კოშკის ფორმა ექნება.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ახალ კომპლექსში ქართული ეროვნული ელემენტები გათვალისწინებული იქნება. "ახალ კომპლექსში ქართული ეროვნული სულისკვეთება უნდა იყოს ნაჩვენები", - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა დღეს გამართულ პრეზენტაციაზე.

## შინაური ცხოველების პოპულაციების მართვასთან დაკავშირებით თბილისში კონფერენცია მოეწყობა

საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება" 25 დეკემბერს აწყობს კონფერენციას, თემაზე "შინაური ცხოველების პოპულაციების მართვა".

ორგანიზაციის ცნობით, ღონისძიებაზე მოხდება ცხოველთა დაცვის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო და ვეტერინარული ორგანიზაციების, კინოლოგიური გაერთიანებების, ასევე, პროფესიონალებისა და ექსპერტების მიერ ცხოველებთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხის განხილვა და სწორი მიმართულების დასახვა.

კონფერენციის თემა შეეხება თბილისსა და საქართველოს დიდ ქალაქებში, როგორც პატრონიანი, ასევე უზედამხედველო შინაური ცხოველების (ძაღლი, კატა) პოპულაციის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

დელეგატები ისაუბრებენ იმ არასწორ მეთოდებზე, რომლითაც წლების განმავლობაში ხდება უზედამხედველო ცხოველების განადგურება. ღონისძიების მთავარი მიზანია, საქართველოში ცხოველებისადმი ჰუმანური დამოკიდებულების დანერგვა.

## პარლამენტმა "საგადასახადო კოდექსში" ცვლილებები დღეს მესამე მოსმენით შეიტანა

სხვადასხვა სახის პროდუქციის იმპორტზე 12 პროცენტიანი საბაჟო განაკვეთების დაწესების თაობაზე გადაწყვეტილება პარლამენტმა უკვე მიიღო.

შესაბამისი ცვლილებები პარლამენტმა "საგადასახადო კოდექსში" დღეს მესამე მოსმენით შეიტანა და ის მომავალი წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდება.

12-პროცენტიანი საბაჟო განაკვეთი წესდება რიგი ბოსტნეულის, სამშენებლო და ხის მასალების, ჰიგიენური საშუალებების, საიუველირო ნაწარმის იმპორტზე. 5-პროცენტიანი განაკვეთი მხოლოდ ორ პროდუქტზე - ღორის ხორცზე, ყველსა და ხაჭოზე რჩება.

ამასთან, მეწარმეებისთვის შეიცვალა ქრონომეტრაჟის პრონციპი. კერძოდ, თუ ქრონომეტრაჟით გამოვლინდა, რომ საზოგადოებრივი კვების ობიექტში ან/და სასტუმროში 7 უწყვეტი კალენდარული დღის ჯამური ბრუნვა (მაქსიმალური და მინიმალური დღეების გამოკლებით) არანაკლებ 10%-ით მეტია გადასახადის გადამხდელის მიერ დაფიქსირებულ ქრონომეტრაჟის დაწყების დღის წინა 7 უწყვეტი კალენდარული დღის ჯამურ ბრუნვაზე, პირი ჯარიმდება ქრონომეტრაჟით გამოვლენილი 7 კალენდარული დღის ჯამურ ბრუნვასა და გადამხდელის მიერ დაფიქსირებულ ქრონომეტრაჟის დაწყების დღის წინა 7 კალენდარული დღის ჯამურ ბრუნვას შორის სხვაობის 50-მაგი ოდენობით.

## ლარი აშშ დოლართან მიმართებაში 1.6848 ლარის ნიშნულზე დაეცა

ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1.6848 ლარის ნიშნულზე დაეცა.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, შესაბამისად, ხვალ ძალაში შევა ოფიციალური გაცვლითი კურსი - 1 აშშ დოლარი/1.6848 ლარი.

დღევანდელი კურსით კი 1 აშშ დოლარი 1.6839 ლარი ღირდა.

# კლიმატის ცვლილების ეკონომიკური ასპექტები



წინა კვირის მთავარი მოვლენა უეჭველად იყო კოპენჰაგენის შეხვედრა, დაკავშირებული კლიმატის ცვლილების პრობლემებთან. შეხვედრაში მონაწილეობა მრავალი ქვეყნის ლიდერმა მიიღო, მათ შორის პრეზიდენტმა ობამამ. უნდა აღინიშნოს, რომ შეხვედრა მწვავე დისკუსიების ფონზე მიმდინარეობდა. ერთის მხრივ, ბუნების დაცვის მომხრეები რადიკალურ ზომებს მოითხოვენ, პირველ რიგში, განვითარებული ქვეყნებისგან. მეორეს მხრივ, არსებობს გავლენიანი ძალები, რომლებიც კლიმატის ცვლელებასთან დაკავშირებულ პრობლემებს საერთოდ თითიდან გამოწოვილად მიიჩნევენ. წინათ ამ ძალებს პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციისაგან მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ჰქონდათ, მაგრამ პრეზიდენტი ობამა სრულიად სერიოზულად მიიჩნევს საფრთხეებს, რომელიც ეკოლოგიური პრობლემების უგულებელყოფას შეიძლება მოჰყვეს. მისი წინადადებით, შეერთებული შტატები მზადაა, 2020 წლისათვის ნახშირორჟანგის გამონაბოლქვი 17%-ით შეამციროს 2005 წლის მაჩვენებელთან შედარებით. სხვა სახელმწიფოები, მათ შორის ევროკავშირის წევრები, ამოსავლად ძირითადად 1990 წელს იღებენ. კერძოდ, ევროკავშირი მზადაა, 2020 წლისათვის ნახშირორჟანგის გამონაბოლქვი 20%-ით და უფრო მეტადაც შეამციროს, თუ სხვა სახელმწიფოები მას მხარს აუბამენ. გარკვეულ პრობლემებს წარმოშობს მზარდი ეკონომიკის მქონე განვითარებადი ქვეყნების პოზიცია, მაგალითად - ჩინეთი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მსგავსმა შეზღუდვებმა შეიძლება მათი ეკონომიკების ზრდას ხელი შეუშალოს.

გარდა იმ პრობლემისა, თუ რომელმა ქვეყანამ რამდენით უნდა შეამციროს საკუთარი გამონაბოლქვი და როგორ უნდა მოხდეს ეს, ძალიან მნიშვნელოვანია, თუ რა თანხა უნდა მიიღონ განვითარებადმა ქვეყნებმა განვითარებული ქვეყნებისგან გამონაბოლქვების შემცირებასთან დაკავშირებული ხარჯებისა და დანაკარგების ასანაზღაურებლად. შესაძლოა, სწორედ ეს საკითხი აღმოჩნდა ყველაზე რთული გადასაწყვეტი, რადგან ბევრ განვითარებად ქვეყანას არ აკმაყოფილებს ის დახმარება, რომლის გამოყოფისთვისაც მზად არიან განვითარებული ქვეყნები.

საბოლოოდ, სამიტზე ყველა ძირითად საკითხთან დაკავშირებით მიღწეული იქნა კომპრომისული შეთანხმება, რომელიც ბევრ ეკოლოგს არასაკმარისად მიაჩნია. მეორეს მხრივ, თუ გავითვალისწინებთ, რამდენი დაინტერესებული მხარე მონაწილეობდა ამ კომპრომისის მიღწევაში და რაოდენ რთული იყო მათი პოზიციების შეჯერება, სამიტი მაინც წარმატებულად უნდა ჩაითვალოს. ბევრი იმედოვნებს, რომ მიღწეული შეთანხმება პირველი ნაბიჯი იქნება კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის საქმეში და მას გაცილებით უფრო ეფექტური და რადიკალური ქმედებები მოყვება საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან. სამიტმა აჩვენა, რომ გლობალიზაციის ერაში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება შეზღუდული ოდენობის ბუნებრივი რესურსების ეფექტური გამოყენება და ბუნების დაცვა. არსებობს ერთადერთი მშვიდობიანი გზა ამ მწვავე პრობლემების გადასაწყვეტად. ეს არის საერთაშორისო თანამშრომლობა. მეორე დიდი საკითხი იქნება ახალი ალტერნატიული ეკოლოგიური ტექნოლოგიების განვითარება. სხვაგვარად, შეზღუდული რესურსების პირობებში, შეუძლებელი იქნება არა მარტო ეკონომიკური განვითარება, არამედ არსებული განვითარების დონის შენარჩუნება. როგორც ვხედავთ, ეკოლოგიური პრობლემები, მათ შორის კლიმატის ცვლილება, სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს გლობალურ ეკონომიკაზე. დღეს დადგა ის დრო, როდესაც ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებისას მთავრობებს მოუწევთ, ეკოლოგიურ პრობლემებს დიდი ყურადღება მიაქციონ. ვფიქრობ, ჩვენც საქართველოში ამ მიმართულებით უნდა ვიმოქმედოთ. დღეს არის ის დრო, როდესაც მსოფლიოში სულ უფრო ინტენსიურად იწყება ახალი ეკოლოგიური ტექნოლოგიების დანერგვა. ჩვენ ამ ტენდენციას ფეხი უნდა ავუწყოთ, თორემ მნიშვნელოვანი ჩამორჩენა გველის კიდევ ერთ სფეროში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბევრ სფეროში ჩვენ ისედაც ჩამორჩენილები ვართ, კიდევ ერთის დამატება არ ღირს. მეორეს მხრივ, ეკოლოგიური ტექნოლოგიების განვითარება და დანერგვა, შესაძლებელია, ქართული ეკონომიკის განვითარების მძლავრი სტიმული გახდეს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს, სხვა ბევრი განვითარებადი ქვეყნისაგან განსხვავებით, შესაბამისი ინტელექტუალური პოტენციალი აქვს.

კვირის მეორე დიდი მოვლენა იყო ჟურნალ "თაიმის" ნომინაცია. მის მიხედვით წლის პიროვნებად ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარე ბენ ბერნანკე დასახელდა. ძნელი სათქმელია, რამდენად იმსახურებს ბერნანკე ასეთ პატივს. რა თქმა უნდა, მან დიდი წვლილი შეიტანა გლობალურ ფინანსურ კრიზისთან ბრძოლის საქმეში, მაგრამ იყვნენ სხვებიც, რომელთა წვლილიც არანაკლებია. გარდა ამისა, ბევრი საყვედურობს ბერნანკეს, რომ ფედერალურ სარეზერვო სისტემას მსოფლიო კრიზისზე გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრება. 2009 წელი კრიზისთან ბრძოლის ნიშნის ქვეშ გავიდა, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ წლის ადამიანად დასახელდებოდა ის, ვინც ამ კრიზისის გადალახვაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. შესაძლოა, ეს ყოფილიყო გეითნერი ან თუნდაც ობამა, მაგრამ "თაიმმა" ჩათვალა, რომ ეს უნდა ყოფილიყო ბერნანკე.

მთლიანად, კვირა მსოფლიო ეკონომიკისათვის დადებითად არ შეიძლება ჩაითვალოს. ანალიტიკოსებისთვის მოულოდნელი სიურპრიზი იყო იმ ამერიკელთა რიცხვის ზრდა, რომლებმაც პირველად მიმართეს განაცხადით უმუშევრობის დაზღვევის მისაღებად. ეს რიცხვი ახალ უმუშევართა რაოდენობას განსაზღვრავს. წინა კვირაში 480 ათასი ასეთი განაცხადი დაფიქსირდა, მაშინ როდესაც ანალიტიკოსები მოელოდნენ 465 ათასს (473 ათასი იყო ორი კვირის წინ).

უმუშევრობა ამჟამად ამერიკული ეკონომიკის მთავარი პრობლემაა. ფინანსური ბაზრები უაღრესად ყურადღებით აკვირდებიან უმუშევრობასთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მაჩვენებლებს და ყოველგვარ უარყოფით თუ დადებით ინფორმაციას უაღრესად მგრძნობიარედ აღიქვამენ. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ახალ უმუშევართა რაოდენობის ზრდამ გამოიწვია აქციების ფასების ვარდნა შუა კვირაში, რაც ინვესტორებში სკეპტიციზმის მატების მაჩვენებელი იყო. მიუხედავად ზოგიერთ ბირჟაზე აქციებზე ფასების მცირე მატებისა კვირის ბოლოს, კვირამ ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე მინორულ ტონებში ჩაიარა. დოუ ჯონსის საშუალო ინდუსტრიულმა მაჩვენებელმა წინა კვირის მიღწევების შენარჩუნება ვერ შეძლო. ახალ სიმაღლეებს ეს მაჩვენებელი ალბათ მხოლოდ მომავალ წელს მიაღწევს. მისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება უდიდესი კორპორაციების კალენდარული წლის ფინანსურ მაჩვენებლებს, რომლებიც უკვე იანვარში გამოქვეყნდება.

სასაქონლო ბირჟებზე გარკვეული ზრდა დაფიქსირდა. განსაკუთრებით ეს შესამჩნევი იყო ნავთობთან მიმართებაში. ნავთობის ფასი კვლავ ასცდა 70 დოლარს ბარელზე და კვლავ გააწბილა ის ანალიტიკოსები, რომლებიც მასზე ფასის ვარდნას მოელიან.

სავალუტო ბაზრებზე წინა კვირამ დოლარის გამყარების ნიშნის ქვეშ ჩაიარა. დოლარის კურსმა ევროსთან კვირის ბოლოს შეადგინა 1.43. მნიშვნელოვნად დაეცა იენის კურსი მსოფლიოს სხვა ძირითად ვალუტებთან მიმართებაში, რაც ექსპორტზე ორიენტირებული იაპონიის ეკონომიკისათვის კარგი ნიშანია.

ცნობილი გახდა შეთანხმების შესახებ, რომელიც მიღწეული იქნა უდიდეს ამერიკულ ნავთობკომპანიის "ექსონმობილსა" (ExxonMobil Corp.) და მსხვილ ამერიკულ ნავთობისა და გაზის მომპოვებელ კომპანიას XTO Energy Inc. შორის. შეთანხმების თანახმად, ამ ორი კომპანიის შერწყმა მოხდება. ფასი ამ გარიგებისა, რომელიც ჯერ კიდევ უნდა მოიწონონ კომპანიის აქციონერებმა და მარეგულირებელმა ორგანოებმა, არის 41 მილიარდი დოლარი. "ექსონმობილი" მსოფლიოს უდიდესი კომპანიაა კაპიტალიზაციის მიხედვით. მისი ღირებულება 450 მილიარდ დოლარს აღემატება. კომპანიის ისტორია სათავეს 1882 წელს ჯონ როკფელერის მიერ დაარსებული "სტანდარტ ოილისგან" (Standard Oil) იღებს. მიმდინარე წელს კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუარესდა. მოგება 65%-ით შემცირდა, 37.23 მილიარდი დოლარიდან 13.4-მდე, ხოლო გაყიდვები 43.8%-ით, 392.7 მილიარდი დოლარიდან 220.7-მდე.

კიდევ ერთმა ფინანსურმა კორპორაციამ, Bank of America-ს შემდეგ, გადაწყვიტა დაუბრუნოს ამერიკის ფედერალურ მთავრობას ფულადი სახსრები, მიღებული TARP-ის პროგრამის ფარგლებში. შეგახსენებთ, რომ ეს 700-მილიარდიანი პროგრამა მოწოდებული იყო, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ფინანსურ ინსტიტუტებს დახმარებოდა. ეს არის Citigroup-ი. ეს უკანასკნელი კრიზისის შედეგად ყველაზე დაზარალებულ ფინანსურ ინსტიტუტებს მიეკუთვნებოდა. საკმარისია ითქვას, რომ მისი აქციების ვარდნამ კრიზისის წელს 70%-ს გადააჭარბა, რაც სარეკორდო იყო მისი მასშტაბის კორპორაციებში. ახლა კი ის თავს საკმაოდ კარგად გრძნობს, იმისათვის, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღოს. კორპორაცია აპირებს დაუბრუნოს მთავრობას დარჩენილი 20 მილიარდი, რათა მოიხსნას ის შეზღუდვები, რასაც ეს დახმარება აკისრებდა. ამ მილიარდების მოძიებას Citigroup-ი აქციების ახალი ემისიის საშუალებით აპირებს.

ძალიან დიდი ალბათობაა, რომ მსოფლიოს ავტომრეწველობა "სააბის" ბრენდს დაემშვიდობება. "ჯენერალ მოტორსმა" გამოაცხადა, რომ მოლაპარაკებები "სააბის" გაყიდვის თაობაზე უშედეგო აღმოჩნდა და ის აპირებს, "სააბის" ქარხნის დახურვასთან დაკავშირებული ღონისძიებები დაიწყოს. "სააბის" ლიკვიდაციის შედეგად დათხოვნილი იქნება 4500 თანამშრომელი.

ცნობილი გახდა, რომ "პეპსიმ" უარი განაცხადა იყოს ეროვნული საფეხბურთო ლიგის ფინალური მატჩის (ე.წ. "სუპერბოლი") მთავარი სპონსორი. მატჩი უნდა 7 თებერვალს გაიმართოს და ისამერიკული ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი მოვლენაა. საკმარისია ითქვას, რომ 30-წამიანი რეკლამა მატჩის ტრანსლაციისას შარშან 3 მილიონი დოლარი ღირდა. "პეპსი" 1987 წლიდან მოყოლებული, "სუპერბოლის" მთავარი სპონსორი იყო.

# ბიზნესი და საქართველოს შრომის კანონმდებლობა

თინა შავაძე

საქართველოს მთავრობა შრომის კოდექსში შესატან ცვლილებებს ამზადებს. მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა დღის წესრიგში საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნის შესრულების გამო დადგა. ევროკავშირისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შენიშვნები საქართველოს შრომის კოდექსთან დაკავშირებით, ძირითადად, იმაში მდგომარეობს, რომ "შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა" და ევროკავშირის სტანდარტებს შეესაბამება და ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ 2005 წლის ივლისში რატიფიცირებულ "ევროპის სოციალურ ქარტიას" ისეთ ფუნდამენტურ საკითხებში, როგორიცაა ზედმეტი სამუშაოს შესრულების ხანგრძლივობა და მისი ანაზღაურება, სამსახურიდან დათხოვნა, კოლექტიური მოლაპარაკების წარმოება და სხვა. შრომის კოდექსის დახვეწა ხელისუფლებისადმი ევროკავშირის პირდაპირი მოთხოვნაა და დაქირავებული პირების უფლებების დაცვას გულისხმობს. საქართველომ ეს ვალდებულება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ფარგლებში აიღო.

შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებების კანონპროექტში ჩართულია რამდენიმე ბიზნესასოციაცია, კერძო კომპანიების საერთაშორისო ორგანიზაცია, პროფკავშირები, პოლიტიკური პარტია და სამთავრობო სტრუქტურები. ამ ეტაპზე არსებული შენიშვნების მიხედვით, პროცესში მონაწილე ორგანიზაციებს შორის გარკვეული შეუთანხმებლობა გაჩნდა, რადგან ადგილობრივი პროფკავშირები, ევროკომისია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და საპარლამენტო ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატები" კანონპროექტში დასაქმებულთა ინტერესების, ხოლო საქართველოს ბიზნესასოციაცია და ამერიკის სავაჭრო პალატა დამსაქმებელთა ინტერესების დაცვას ითხოვენ.

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში წარდგენილია პროფკავშირებისა და ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებების კანონპროექტის ალტერნატიული ვარიანტი. მთავრობას აღნიშნული კანონპროექტი ჯერ არ წარუდგენია. საქმე ისაა, რომ ორი თვის წინ მთავრობამ, გაერთიანებულმა პროფკავშირებმა და დამსაქმებელთა ასოციაციამ მიაღწიეს შეთანხმებას და დაიწყო მუშაობა შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით. "გაერთიანებული პროფკავშირებისა" და ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" მიერ წარდგენილი პროექტი ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება.

პროფკავშირების პროექტის მიხედვით, უნდა განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები: 1. 37-ე მუხლს დაემატოს 11 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "შრომის კოდექსის 37-ე მუხლის I ნაწილის "ბ" პუნქტის შესაბამისად შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას, როდესაც დამსაქმებლის უარის მიუხედავად, დასაქმებული თანახმაა გააგრძელოს შრომითი ურთიერთობა, დასაქმებულს მიეცემა ანაზღაურება შრომის კოდექსის 38-ე მუხლის III ნაწილით გათვალისწინებული ოდენობით. 2. 38-ე მუხლის III პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით "შრომითი ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით მოშლის შემთხვევაში დასაქმებულს წერილობით განემარტება სამუშაოდან დათხოვნის მიზეზი და მიეცემა არანაკლებ 2 თვის შრომის ანაზღაურება. 3. 1. 43-ე მუხლს დაემატოს 21 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: 21. . დამსაქმებლები (დამსაქმებელთა გაერთიანებები) და დასაქმებულები (დასაქმებულთა გაერთიანებები) ვალდებულნი არიან აწარმოონ კოლექტიური მოლაპარაკება შრომით, სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე კოლექტიური ხელშეკრულების (შეთანხმების) დადების მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებულები (დასაქმებულთა გაერთიანებები) ან/და დამსაქმებლები (დამსაქმებელთა გაერთიანებები) გამოვლენ ასეთი ინიციატივით.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტიდან ჩანს, პროფკავშირები დამსაქმებლისგან ითხოვენ, რომ დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში კომპენსაცია სტაჟის მიხედვით უნდა გაიცეს, ზეგანაკვეთური შრომა ანაზღაურებადი უნდა გახდეს, სამსახურიდან გათავისუფლების დროს კი წერილობითი განმარტების გაცემა იქნება აუცილებელი. ამასთანავე, სამსახურში მიღების დროს, ვაკანსიაზე უარის შემთხვევაში, ორგანიზაციას გადაწყვეტილების დასაბუთება მოუწევს.

არსებული შრომის კოდექსის ხარვეზების გამო, შესაძლოა, ევროკავშირმა საქართველოს GშP+ პროგრამა შეუჩეროს, რომლის საშუალებითაც საქართველოს შესაძლებლობა აქვს, ევროკავშირის ქვეყნებში პროდუქცია შეღავათებით გაიტანოს. "ჩვენ მივმართავთ ევროპის კომისიას, შეუჩეროს საქართველოსGშP+, რადგან პრეფერენციების ეს სისტემა დაფუძნებული უნდა იყოს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების პატივისცემაზე, შრომის კოდექსი კი, რომელიც საქართველოში მოქმედებს, ამ უფლებებს არღვევს. იგივე პრობლემების გამო ევროკავშირმა GშP+ უკვე შეუჩერა ბელორუსს" - ამის შესახებ ევროპის პროფკავშირების კონფედერაციის (EთUჩ) მდივანმა იოზეფ ნიემეცმა 26 სექტემბერს, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ყრილობაზე განაცხადა. EთUჩ ევროკავშირის მთავრობისა და პარლამენტის, ასევე, ევროკავშირის დამსაქმებელთა ასოციაციის პარტნიორია და შეუძლია გავლენა მოახდინოს ევროპის პოლიტიკაზე საქართველოსთან მიმართებაში.

საქართველოს ბიზნესასოციაცია და ამერიკის სავაჭრო პალატა, როგორც ქვეყანაში მოქმედი წამყვანი ბიზნესორგანიზაციების გაერთიანებები, აქტიურად ერთვებიან შრომის კანონმდებლობის რეფორმის პროცესში. მათ უკვე მიმართეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი წერილით, რომელშიც დამსაქმებელთა ინტერესების დაცვისა და ლიბერალური ეკონომიკის შემდგომი განვითარების პრიორიტეტულობა დაასაბუთეს.

"საქართველოს ბიზნესასოციაციამ და საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატამ დეტალურად გააანალიზეს ახალი შრომის კოდექსის პროექტი, რომელიც საქართველოს პროფკავშირების და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) რეკომენდაციებს ემყარება. როგორც ცნობილია, პროფკავშირების მიერ შემოთავაზებული შრომითი კანონმდებლობის პროექტი მშრომელთა უპირატესი ინტერესების დაცვაზეა ორიენტირებული, ზედმეტად სოციალისტურ ხასიათს ატარებს, არ არის ობიექტურად გათვალისწინებული ბიზნესმენთა მოსაზრებები და არც ის ზემოქმედება, რომელიც შეიძლება ქვეყანაში ინვესტიციების გრძელვადიან შემოდინებაზე ნეგატიურად აისახოს," - ნათქვამია ამერიკის სავაჭრო პალატისა და ბიზნესმენთა ასოციაციის მიერ გავრცელებულ პრესრელიზში. მათ მიაჩნიათ, რომ ლიბერალური ეკონომიკის მნიშვნელოვან საფუძველს სწორედ ლიბერალური შრომითი კანონმდებლობა წარმოადგენს. ხოლო "მემარცხენე" შრომითი კოდექსი სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლების შეზღუდვის რეალურ საფრთხეს შეიცავს. საგადასახადო განაკვეთებთან და საკუთრების უფლების დაცვასთან ერთად კი, ინვესტორები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ შრომით კოდექსს, რომელიც დამქირავებლისა და დაქირავებულის ურთიერთობების თავისუფლების პრინციპს ეფუძნება. უფრო მეტიც, კერძო seqtorSisamuSao ადგილებს ადგილობრივი და უცხოელი ბიზნესმენები ქმნიან, შესაბამისად, ბიზნესმენების აზრის გათვალისწინება უმნიშვნელოვანესია.

საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი დევიდ ლი ამბობს: "ქართველებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, რა უფრო მნიშვნელოვანია ეკონომიკის შენების პროცესში - უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების დახმარებით გაიზარდოს დასაქმებულთა რიცხვი, შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები, გაიხსნას ახალი საწარმოები, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი წარმოებისა და ექსპორტის ზრდას, თუ მიმართონ ისეთ მეთოდებს, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ განვითარებაზე კი არა, დამქირავებელსა და მშრომელებს შორის ურთიერთობების შემდგომ დარეგულირებაზე ორინტირებული."

შრომის კოდექსის საჯარო განხილვების დროს გაზეთ "24 საათის" ბიზნესის განყოფილებას რამდენიმე ის უცხოელი ინვესტორი დაუკავშირდა, რომლებმაც საქართველოში საწარმოები გახსნეს და ადამიანები დაასაქმეს. მათი შეფასებით, იმ შემთხვევაში, თუ პროფკავშირების მიერ მოქმედ შრომის კოდექსზე წარდგენილ შენიშვნებს მთავრობა გაიზიარებს, მაშინ მათ საქართველოში მუშაობა გაუჭირდებათ. ისინი ამბობენ, რომ ადგილობრივი კადრები ძლივს მიაჩვიეს სამსახურში დროულად, დაგვიანების გარეშე გამოცხადებას და იმას, თუ რას ნიშნავს 8-საათიანი სამუშაო რეჟიმი. კომპანიებში შრომის დისციპლინის დაცვას და შრომის კულტურის ჩამოყალიბებას დრო სჭირდება. ამიტომაც, ინვესტორების აზრით, ამ ეტაპზე ევროპული სატანდარტებითა და პირობებით ადგილობრივი სამუშაო ძალის შეფასება და დასაქმება შეუძლებელია.

ცნობილია ისიც, რომ გარდამავალი ქვეყნები ინვესტორებისთვის დღემდე იმით არის მიმზიდველი, რომ სამუშაო ძალა იაფია და დამსაქმებლები, ევროპასთან შედარებით, დასაქმებულების მიმართ გარკვეულ სოციალურ პასუხისმგებლობებს არ იღებენ.

„გაერთიანებული ტელეკომის" საახალწლო აქცია - ინტერნეტის უფასო ინსტალაცია ერთი თვის განმავლობაში

„გაერთიანებული ტელეკომი" თბილისში ახალ, საახალწლო აქციას ატარებს. ერთი თვის განმავლობაში კომპანიის აბონენტები ინტერნეტში უფასოდ ჩაერთვებიან.

ის აბონენტი (ფიზიკური პირი), რომელიც 15 დეკემბერიდან 15 იანვრის ჩათვლით დარეგისტრირდება ცხელ ხაზზე 100-100 და დაიდგამს ინტერნეტს, ინსტალაციის საფასურს (20$) არ გადაიხდის.

კომპანია 6 სხვადასხვა პაკეტით ემსახურება აბონენტებს 1მგბ/წ- 8მგბ/წ. ასევე თავაზობს ინდივიდუალურ პაკეტებს კორპორატიულ კლიენტებს.

„გაერთიანებული ტელეკომი" ქვეყნის მასშტაბით 80 ათასზე მეტ ინტერნეტ აბონენტს ემსახურება.



## "თელასის" საინვესტიციო ოდენობამ მიმდინარე წელს 22,2 მლნ ლარი შეადგინა

გამანაწილებელი ქსელის ტექნიკური რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, "თელასის" საინვესტიციო ოდენობამ მიმდინარე წელს 22,2 მლნ ლარი შეადგინა. კომპანიამ 2009 წლის შედეგები გამოაქვეყნა.

კომპანიის გენერალურმა დირექტორმა იური პიმონოვმა 108 წარმატებული თანამშრომელი ფულადი პრემიებითა და სპეციალური სიგელებით დააჯილდოვა.

"თელასში" აცხადებენ, რომ კომპანიამ შეინარჩუნა დინამიური განვითარების მაღალი ტემპი, რაც უპირველესად კომერციული და ტექნიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებაში გამოიხატა.

დაბალი ძაბვის ქსელის კაპიტალური რეაბილიტაციის მიზნით "თელასმა" თბილისსა და მის შემოგარენ სოფლებში დარჩენილი 2 000 აბონენტისთვის აღრიცხვის კვანძების მოწესრიგების სამუშაოები უკვე დაასრულა, რაც პარალელურად 30 კმ სიგრძის 0,4 კვ-იანი ძაბვის თანამედროვე მაღალეფექტური იზოლირებული ელექტროსადენების მონტაჟს მოიცავდა. კომერციული დანაკარგების შემცირების მიზნით 7 500 აბონენტზე სარდაფებში გამავალი ძალოვანი კაბელები მიწისქვეშა კომუნიკაციებში განთავსდა.

სატრანსფორმატორო მეურნეობის განახლების მიზნით კომპანიამ 0,5 მლნ ლარი გაიღო. 6-10 კვ-იანი ძაბვის მაგისტრალური საკაბელო ხაზების რეაბილიტაციისთვის 3 მლნ 880 ათასი ლარი გაიხარჯა, რომლის ფარგლებშიც თბილისის სხვადასხვა უბანში 43 კმ საერთო სიგრძის სადენი შეიცვალა.

გამანაწილებელ ქვესადგურებში ელექტროენერგიის კომერციული აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემის დანერგვის პროექტის მორიგ ეტაპზე "თელასმა" 300 ათასი ლარის ინვესტიცია განახორციელა.

მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა მაღალი ძაბვის ელექტრომეურნეობაში. 2009 წელს კომპანიამ 5 110 კვ-იანი გამანაწილებელი ქვესადგურის ("მათაწმინდა", "საბურთალი 1", ძმცირე ნავთლუღი", "ტაბახმელა" და "ცენტროლიტი") რეაბილიტაცია დაასრულა, რამაც კომპანიის მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის მიწოდების საიმედოობა გაზარდა. 110 კილოვოლტის გამანაწილებელ კვანძებში ტექნიკური დანადგარების მოდერნიზების საპროექტო ღირებულებამ 3,600 მლნ ლარი შეადგინა, რის შედეგადაც ქსელში დაფიქსირებული ტექნიკური ინციდენტების რიცხვი კომპანიამ 11 თვის ანალოგიური მაჩვენებლების მიხედვით 2008 წელთან შედარებით 25 პროცენტით შეამცირა.

კომპანიის კომერციული სამსახურების აქტიური მუშაობის შედეგად ძთელასმა" მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტიც მიიღო. 2008 წლის მონაცემებთან შედარებით, კომპანიამ თბილისში დაფიქსირებული საერთო დანაკარგების 18,7 პროცენიანი მაჩვენებელი 15,9 პროცენტამდე შეამცირა.

მნიშვნელოვანი ზრდაა დაფიქსირებული ფინანსური შემოსავლების კუთხითაც. 2008 წლის 11 თვის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით 2009 წელს "თელასმა" 14,6 მლნ ლარით მეტი შემოსავალი მიიღო.

გამანაწილებელი ქსელის სრული მოდერნიზების მიზნით დასახული გეგმების შესაბამისად კომპანია მომავალ წელსაც გაარგძელებს მუშაობას. ტექნიკური რეაბილიტაციის პროექტის მორიგი ეტაპის განსახორციელებლად 2010 წელს "თელასი" 25,6 მლნ ლარის ინვესტიციას გეგმავს.

## 2010 წლის მსოფლიო ტურისტულ გამოფენაზე საქართველოც იქნება წარმოდგენილი

2010 წლის მსოფლიო ტურისტულ გამოფენაზე საქართველოც იქნება წარმოდგენილი. "ექსპო 2010" შანხაიში გაიმართება.

საქართველო მოლაპარაკებებს აწარმოებს ჩინურ კომპანიასთან, რომელიც 300 კვადრატულ მეტრზე საგამოფენო პავლიონს დაამზადებს.

ტურიზმის დეპარტამენტის ინფორმაციით, გამოფენა ყოველ 5 წელიწადში ერთხელ ტარდება და 6 თვის განმავლობაში გაგრძელდება.

დეპარტამენტში მიიჩნევენ, რომ გამოფენა მნიშვნელოვანია ქვეყნის ტურისტული პოტენციალის განვითარებისთვის და ტურისტების მოზიდვისთვის.

უკვე დამტკიცებულია პროექტი, თუ რა სახე ექნება პავილიონს, რომელშიც ჩადებულია ვაზის იდეა.

როგორც დეპარტამენტში აცხადებენ, ჩინეთი დაინტერესებული იყო მსოფლიო ექსპოზიციის მის ქვეყანაში გამართვით, გამოთქვა ინიციატივა, ფინანსურად დახმარებოდა განვითარებად ქვეყნებს და სწორედ ამ დახმარების ფარგლებში გაკეთდება საქართველოსთვის საგამოფენო პავილიონი.

საქართველოს გამოფენაში მონაწილეობის ღირებულება ჯერ არ სახელდება, რადგან საბოლოო ციფრი დადგენილიარ არის.

გარდა ამისა, ტურიზმის დეპარტამენტი აცხადებს, რომ 2010 წელს ტურიზმის განვითარების კუთხით პრიორიტეტულია მომსახურების ხარისხის გაზრდა, ადამიანური რესურსების მაქსიმალური გამოყენება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება, შიდა ტურიზმის განვითარება, საქართველოს ტურისტული პოტენციალის საერთაშორისო დონეზე აყვანა.

## პოლონეთი მატარებლის გამტაცებელი ოცი დევნილის დეპორტირებას გეგმავს

პოლონეთი ვროდცლავ-დრეზდენის მატარებლის გამტაცებელი 158 დევნილიდან მხოლოდ 20-ის დეპორტირებას გეგმავს.

პოლონეთის ქალაქ ზგოჟელეცის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ის პირები, რომლებიც პოლონეთში არალეგალურად იმყოფებიან, პატიმრობაში დარჩებიან, შემდეგ კი მათი სამშობლოში დეპორტირება მოხდება.

პოლონეთის სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენელთა განცხადებით, რამდენიმე ადამიანთან დაკავშირებით კვლავ მიმდინარეობს კონსულტაციები რიგ უწყებებს, მათ შორის უცხოელთა საქმეების სამმართველოს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასაზღვრო სამინისტროებს შორის.

ინციდენტში მონაწილე რამდენიმე პირმა დევნილთა უფლებების საკითხებში გაერო-ს უმაღლესი კომისრის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი დაკავებული პირები არ გათავისუფლდებიან, ისინი სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაასრულებენ.

პოლონეთის ქალაქ ლეგნიცაში დევნილებმა მატარებელი 15 დეკემბერს გაიტაცეს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## მინისტრის ვინაობა დღეს გახდება ცნობილი

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების ახალ მინისტრს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური სავარაუდოდ, დღეს დაასახელებს. სწორედ დღეს იწურება ახალი მინისტრის წარდგენის კანონით განსაზღვრული ორკვირიანი ვადა.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრის თანამდებობა 7 დეკემბრიდან ვაკანტურია. ამ პოსტზე დიმიტრი შაშკინის შესაძლო შემცვლელად უკვე დასახელდა მისი მოადგილის ლევან ზარანდიას კანდიდატურა. გარდა ამისა, როგორც სამთავრობო კულუარებში ითქვა, სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრად განიხილება ასევე კახეთის გუბერნატორის გიორგი ღვინიაშვილის კანდიდატურაც.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი უკვე ორი კვირაა, რაც განათლების მინისტრად დაინიშნა.

*პირველი*

## სასამართლოს უარი დეპუტატების შუამდგომლობაზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი არევაძემ დაუშვებლად ცნო 7 დეპუტატის ინიციატივა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟის ცოტნე გამსახურდიას მიმართ თავდებობის შესახებ.

როგორც ცოტნე გამსახურდიას ადვოკატი ქეთევან ბექაური აცხადებს, შუამდგომლობით, რომელიც დეპუტატების თავდებობის გარდა, უამრავ მტკიცებულებასა და ახალ გარემოებებს შეიცავდა, სასამართლოს მან გუშინწინ მიმართა.

“მოსამართლემ მიიღო ერთპიროვნული გადაწყვეტილება და ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რაც უკანონო და პოლიტიკურად მოტივირებულია”, - აცხადებს ადვოკატი. მისივე თქმით, მოსამართლე არც კი დაინტერესებულა, გადაემოწმებინა მტკიცებულებები და არც სისხლის სამართლის საქმე გამოუთხოვია. “ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, პროკურატურას მოვთხოვოთ, დაუყოვნებლივ შეწყდეს სისხლის სამართლებრივი დევნა ცოტნე გამსახურდიას წინააღმდეგ”, - ასეთია ბრალდებულის ინტერესების დამცველის პოზიცია.

ცოტნე გამსახურდიას მიმართ თავდებობის სურვილი საპარლამენტო უმცირესობიდან კონსტანტინე გამსახურდიამ, რატი მაისურაძემ, ჯონდი ბაღათურიამ, გიორგი თარგამაძემ, გიორგი ახვლედიანმა, მაგდა ანიკაშვილმა, ხოლო უმრავლესობიდან ბეჟან ხურციძემ გამოთქვეს.

*ინტერპრესნიუსი*

## სასაზღვრო პოლიციამ ძებნილი დააკავა

შსს სასაზღვრო პოლიციამ თბილისში, გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე ძებნილი, საქართველოს მოქალაქე გივი შარიაშვილი დააკავა.

სასაზღვრო პოლიციის ინფორმაციით, შარიაშვილი მიმდინარე წლის 11 ივნისიდან იძებნება შსს ყვარლის რაიონული სამმართველოს მიერ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109 მუხლის, II ნაწილის “გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. აღნიშნული მუხლი განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

# ქუთაისში მომხდარი ტრაგედიის მიზეზები

პირველი გვერდიდან

ავთანდილ დარსაველიძე ეჭვმიტანილია სისხლის სამართლსი კოდექსის 240-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. "უსაფრთხოების წესის დარღვევა სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს

წარმოებისას, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე

ან მძიმე დაზიანება" , - ასე კვალეფიცირდება 240-ე მუხლის პირველი ნაწილი და ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე. ასევე ისჯება თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

რაც შეეხება ამავე მუხლის მეორე ნაწილს, ის გაუფრთხილებლობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე.

გუშინ დილით გავრცელდა ინფორმაცია, რომ მომხდართან დაკავშირებით, სს "საქფეთქმრეწვის" 10 თანამშრომელი იყო დაკავებული, რომელთა შორისაც პასუხისმგებელი პირებიც იმყოფებოდნენ. დაკავებულთა ვინაობა არ დასახელებულა. ჩვენი ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის მთავარ სამმართველოში მათთან საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა და ისინი მხოლოდ მოწმის სტატუსით დაიკითხნენ. მათ შესახებ არაფერი უთქვამს მოგვიანეით ჩატარებულ სპეციალურ ბრიფინგზე მთავარი პროკურორის მოადგილეს დავით საყვარელიძეს.

**"მთავარი პროკურატურის სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი საქმის ვითარებას ადგილზე ეცნობა. მიმდინარეობს ინტენსიური გამოძიება, დანიშნულია ტექნიკური ექსპერტიზა, რომლის შედეგებისა და საგამოძიებო მოქმედებების გზით მოპოვებული მონაცემების საფუძველზე, სხვა ბრალეულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხიც გადაწყდება,"** - განაცხადა დავით საყვარელიძემ.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განგვიმარტეს, მემორიალის დემონტაჟისას, შემსრულებელი და დამკვეთი ვალდებულები იყვნენ, დაეცვათ უსაფრთხოების ყველა ზომა და მოეხდინათ მოსახლეობის ინფორმირება. შემსრულებელი სს "საქფეთქმრეწვი" იყო, დამკვეთი კი ქუთაისის მუნიციპალიტეტი.

**“ძიებისას გამოიკვეთება, თუ რომელმა მხარემ გამოიჩინა გაუფრთხილებლობა. თუმცა, "საქფეთქმშენი" ვალდებული იყო, განესაზღვრა უსაფრთხოების არეალი და გაეთვალა უსაფრთხოების ზოლი,”** - აცხადებენ შსს-ში.

უბედური შემთხვევიდან რამდენიმე საათში, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დანიაში ვიზიტი შეწყვიტა და თბილისში დაბრუნდა. ქვეყნის პირველმა პირმა ღამით სპეციალური თათბირი გამართა, რომელსაც ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. შეხვედრაზე პრეზიდენტმა იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისაგან დეტალური ინფორმაცია მოისმინა და იმერეთის გუბერნატორის თანამდებობიდან გათავისუფლების გადწყვეტილებაც იმავე ღამეს მიიღო.

მიხეილ სააკაშვილმა ყველა იმ პირის დასჯა მოითხოვა, რომელთა მიზეზითაც მცირეწლოვანი ბავშვი და ახალგაზრდა ქალი დაიღუპნენ. პრეზიდენტის გადაწყვეტილებით-ვე, ყველა მატერიალურ ხარჯს, ტრაგედიის მსხვერპლათა დაკრძალვასთან დაკავშირებით, სახელმწიფო გაიღებს.

# ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნები შედგა

### ვინ გაუძღვება ასოციაციას, დღეს გახდება ცნობილი

თამარ კაციტაძე

*საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, რომელიც სულ რამდენიმე წელია დაარსდა და რომლის არსებობაც ცოტა ხნის წინ კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, საბოლოოდ გადარჩა. ასოციაციაში შექმნილი რამდენიმეთვიანი დაპირისპირების მიუხედავად, გუშინ შესაძლებელი გახდა ასოციაციის ახალი თავმჯდომარის არჩევნების ჩატარება. თუკი აქამდე ადვოკატები ახალი თავკაცის არჩევას ვერშემდგარი ქვორუმის გამო ვერ ახერხებდნენ, გუშინდელ ასოციაციის კრებაზე ისინი მობილიზებულად გამოცხადდნენ. შეკრებას თითქმის 1200-მდე დამცველი დაესწრო, რომლებმაც ასოციაციის თავმჯდომარის სასურველი კანდიდატი ექვსკაციანი სიიდან აირჩიეს. ასოციაციის თავმჯდომარეობისთვის ქეთი ქვარცხავა, ნუგზარ ბირკაია, დავით ლანჩავა, ზაზა ხატიაშვილი, ლევან ჯოხაძე და მამუკა მდინარაძე იბრძოდნენ.*



ბოლო პერიოდში ადვოკატთა ასოციაციაში შექმნილი გაურკვევლობა, რასაც პირობითად “ორხელისუფლებიანობაც” დაერქვა, საბოლოოდ საკანონმდებლო ცვლილებით დარეგულირდა. საქმე იმაში იყო, რომ თითქმის ოთხი წლის წინ შექმნილი ადვოკატთა ასოციაციის კანონდებლობა, დღეს უკვე მოძველებული აღმოჩნდა. ასოციაციაში თავის დროზე ხალისით თუ ვალდებულებით გაწევრიანებული ადვოკატები, საბოლოოდ ასოციაციის კრებაზე აღარ მიდიოდნენ, რის გამოც კანონით გათვალისწინებული ქვორუმი აღარ დგებოდა.

ასოციაციაში ამჟამად დაახლოებით 4 ათასი წევრია, ძველი კანონით, ქვორუმი სრული შემადგენლობის ნახევარი, ანუ დაახლოებით 2 ათასი უნდა ყოფილიყო, რისი შეგროვებაც ვერაფრით ხერხდებოდა. ამიტომაც, ასოციაციის კრება რამდენჯერმე ზედიზედ ჩაიშალა და ასოციაციამ ვეღარც ახალი წესდების და ვეღარც ახალი თავმჯდომარის არჩევა შეძლო. ცოტა ხნის წინ, ადვოკატთა ასოციაციის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებით, ასოციაციის სავალდებულო ქვორუმი 500-მდე შემცირდა. ეს ქვორუმი გუშინ სპორტის სასახლეში შედგა. საქართველოს ჰიმნის შესრულების შემდეგ, ასოციაციის ამჟამინდელმა თავმჯდომარემ გოჩა სვანიძემ კრება გახსნილად გამოაცხადა.

“ადვოკატთა შესახებ" ახალი კანონით, რომელიც ძალაში 2009 წლის 1 დეკემბერს შევიდა, ადვოკატთა ასოციაციის კრებაზე უნდა მოხდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ოთხწლიანი ვადით, ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 11 წევრის, ასოციაციის ეთიკის კომისიის 15 წევრის და ასოციაციის სარევიზიო კომისიის 5 წევრის არჩევა.

იმისათვის, რომ ასოციაციამ ახალი თავმჯდომარე და ადმინისტრაციის სხვა წევრები აირჩიოს, კანონმდებლობით, ჯერ წესდება უნდა დამტკიცდეს. ადვოკატებს შორის უთანხმოების პირველი მიზეზიც სწორედ ეს გახდა.

როგორც ადვოკატმა ქეთევან ბექაურმა განაცხადა, მის აზრს სხვა კოლეგებიც იზიარებდნენ, წესდება, რომელიც კრებაზე ასოციაციის თავმჯდომარემ გოჩა სვანიძემ წარადგინა, არ ყოფილა შეთანხმებული ადვოკატებთან, შესაბამისად, ისინი ამ პროექტს არ იცნობდნენ.

**"წესდებას, რომელიც დაიბეჭდა და ბროშურის სახით გამოიცა, აწერია, რომ ის დამტკიცებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2009 წლის 20 დეკემბრის საერთო კრების გადაწყვეტილებით. ასოციაციის ხელმძღვანელმა ყველაფერი წინასწარ, ჩვენს გარეშე გადაწყვიტა. არ შეიძლება ასოციაციის კრებამ ასეთი კანონდარღვევა დაუშვას,"** - განაცხადა ქეთევან ბექაურმა.

მისი თქმით, ახალი წესდების მიხედვით, გაზრდილია ასოციაციის თავმჯდომარის უფლებამოსილება, რასაც ადვოკატები ეწინააღმდეგებიან, ასევე არ არის შემცირებული საწევრო გადასახდი, რომელიც ძველი კანონის მსგავსად, 200 ლარით განისაზღვრება.

**“ჩვენ მოვითხოვდით საწევრო გადასახადის 100 ლარით განსაზღვრას დედაქალაქში, ხოლო რეგიონებისთვის - 50 ლარს. რაც შეეხება ახალბედა ადვოკატებს, გვინდოდა, ისინი, ერთი წლის განმავლობაში საერთოდ გათავისუფლებულიყვნენ გადასახადისგან,”** - ამბობს ადვოკატი, რომლის მოსაზრებასაც ადვოკატთა ასოციაციის პრესსამსახურის უფროსი ეკა ხიმშიაშვილი კატეგორიულად უარყოფს.

მიუხედავად, ადვოკატთა ერთი ნაწილის პროტესტისა, საბოლოოდ ახალი წესდება კენჭისყრაზე მაინც გავიდა და დამტკიცდა კიდეც.

ამის შემდეგ კრება მთავარ საკითხზე, თავმჯდომარის არჩევნებზე გადავიდა, რომელიც არანაკლებ ხმაურიანად დაიწყო და გაგრძელდა კიდეც.

ადვოკატთა ერთი ნაწილის მტკიცებით, ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელობას ჩაფიქრებული აქვს, თავმჯდომარედ თავისი კანდიდატურა გაიყვანოს, რომელსაც გენერალური პროკურატურა ლობირებს.

**“ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, ადვოკატებთან სატელეფონო ზარები ხორციელდებოდა, რათა ხმა მათთვის სასაურველი კანდიდატისთვის მიგვეცა, "** - ირწუმუნებოდნენ გუშინ ადამიანის უფლებების დამცველები.

გაყალბების მიზეზით, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეობის ერთმა კანდიდატმა ლევან ჯოხაძე, რომელიც ადვოკატთა საინიციატივო ჯგუფის მიერ იყო დასახელებული, თავის კანდიდატურა მოხსნა.

არჩევნების ობიექტურობა ეჭვქვეშ დააყენა კიდევ ერთმა კანდიდატმა მამუკა მდინარაძემ.

**“ჩვენ მივმართეთ ორგანიზატორებს, ამერიკის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასა და ადვოკატთა ასოციაციას, ესწრებიან თუ არა არჩევნებს დამკვირვებლები. პასუხად მივიღეთ, რომ დაესწრებიან მხოლოდ ამერიკის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მოწვეული წარმომადგენლები, რომლებიც დამოუკიდებლები ვერ იქნებიან,"** -განაცხადა ჯერ კიდევ კენჭისყრის დაწყებამდე მდინარაძემ.

ქეთი ქვარცხავა (მისი კანდიდატურა ასოციაციის თავმჯდომარეობაზე ამჟამიდნელმა თავმჯდომარემ გოჩა სვანიძემ ორი დღის წინ დააყენა), ნუგზარ ბირკაია, მამუკა მდინარაძე (ორივე ადვოკატთა საინიციატოვო ჯგუფის კანდიდატები არიან), დავით ლანჩავა (არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის" წარმომადგენელი), ზაზა ხატიაშვილი (ადვოკატთა პროფკავშირის კანდიდატი) და სრულიად ადვოკატთა კორპუსი გუშინ გვიან ღამემდე ელოდა საკუთარი რჩეულის გამოვლენას.

ხმის დამთვლელი კომისია 1200 ადვოკატის ფარული კენჭისყრის შედეგს რამდენიმე საათის განმავლობაში ითხვლიდა. სწორედ ამ პროცესის დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს, ასოციაციის ეთიკის კომისიის და ასოციაციის სარევიზიო კომისიის წევრების ვინაობა.

# კოპენჰაგენის შეთანხმება - "მნიშვნელოვანი დასაწყისი"

მარიკა იაშვილი




გაერო-ს გენერალური მდივანი ბან კი მუნი გამოდის მოწოდებით, კოპენჰაგენში მიღწეული შეთანხმება იურიდიულად სავალდებულო გახდეს. თუმცა ზოგიერთი განვითარებადი ქვეყანა და ეკოლოგიური ორგანიზაცია სამიტის შედეგებით უკმაყოფილოა.

ბან კი მუნი კოპენჰაგენში კლიმატის ცვლილებების საკითხში მიღწეულ შეთანხმებებს "მნიშვნელოვან დასაწყისად" მიიჩნევს. **"შესაძლოა, ეს ის არ არის, რისი იმედიც გვქონდა, მაგრამ მიღებული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვნი დასაწყისია,"** - განაცხადა გენერალურმა მდივანმა დოკუმენტზე ხელის მოწერის შემდეგ. **"ბევრი იტყვის, რომ შეთანხმებას ამბიცია აკლია, თუმცა ამის მიუხედავად ჩვენ ბევრს მივაღწიეთ,"** - აღნიშნა ბან კი მუნმა.

ამავე დროს, როგორც გაერო-ს გენერალური მდივანი აცხადებს, შეთანხმების მნიშვნელობის აღიარება მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ის საერთაშორისო კანონად იქცევა.

**"ჩვენ ვეცდებით, 2010 წლისთვის მივაღწიოთ შეთანხმებას კლიმატის შესახებ ისეთი დოკუმენტის მიღებაზე, რომელიც იურიდიულად სავალდებულო იქნება,"** - განაცხადა ბან კი მუნმა.

სამიტის მასპინძელი ქვეყნის დანიის ხელისუფლება შედეგებით კმაყოფილია. "ჩვენ მივაღწიეთ ცვლილებებს," - განაცხადა დანიის პრემიერ-მინისტრმა ლარს რასმუსენმა და ისიც დაამატა, რომ ისტორიას არ ახსოვს შემთხვევა, "აშშ-ს, ბრაზილიის, სამხრეთ აფრიკის და ინდოეთის პრეზიდენტებს, ევროპული სახელმწიფოებისა და ასობით პატარა ქვეყნის ლიდერებთან ერთად, ერთ ოთახში ემუშავათ"

ოპტიმისტურად აფასებენ სამიტის შედეგებს ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის ლიდერებიც. ამავე დროს ევროკავშირის ბევრი გავლენიანი ფიგურა და ექსპერტი უკვე აცხადებს, რომ კლიმატური სამიტი კრახით დასრულდა.

სამიტის დასკვნით დღეს მოლაპარაკებები დილამდე გაგრძელდა. კოპენჰაგენში მიღწეული შეთანხმებები აშშ-ს, ჩინეთს, ინდოეთს, ბრაზილიასა და სამხრეთ აფრიკას შორის ხუთმხრივ შეხვედრაზე მიღწეულ შედეგებზეა დაფუძნებული. ამ დროს კი გარემოს ყველაზე მეტად სწორედ აშშ და ჩინეთი აბინძურებენ.

შეთანხმებაში აღიარებულია ის, რომ ტემპერატურის მატება 2 გრადუს ცელსიუსამდე უნდა შეიზღუდოს და მომავალი სამი წლის განმავლობაში განვითარებად ქვეყნებს კლიმატის ცვლილებების შედეგებთან საბრძოლველად 30 მილიარდი დოლარი უნდა გამოეყოთ.

ამავე დროს ვრცელდება ინფორმაცია, რომ 2020 წლისთვის ღარიბი ქვეყნებისთვის გამოყოფილი დახმარება წელიწადში 100 მილიარდი დოლარი იქნება.

ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა, რომელიც მოლაპარაკებებში ყველაზე აქტიურად მონაწილეობდა, მიღწეულ შედეგს "გონივრულ შეთანხმებას" უწოდებს.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტია მხარეების შეთანხმება გამონაბოლქვის მონიტორინგზე, რაზეც ჩინეთი დიდი ხნის განმავლობაში ამბობდა უარს და ნახშირბადის გაზის ემისიის დათვლის იმ სქემებს უჭერდა მხარს, რომელიც თავადვე შეიმუშავა.

ობამამ შეთანხმებას უპრეცედენტო გარღვევა უწოდა. **"ჩვენ გრძელი გზა გამოვიარეთ, მაგრამ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ,"** - განაცხადა ობამამ. ოპტიმისტურად არის განწყობილი ბრიტანეთის პრემიერი გორდონ ბრაუნიც. **"მოდით, ნუ დავივიწყებთ, რომ ერთი წლის წინათ არავის ეგონა, ასეთი შეთანხმების მიღწევა თუ შეიძლებოდა,"** - აღნიშნა ბრაუნმა.

თუმცა ყველა ამ განცხადების მიუხედავად, მიღებული დოკუმენტი მაინც შორს დგას იმ მიზნებისგან, რაზეც გაერო-ს კლიმატური ექსპერტები საუბრობდნენ, რომლებიც გარემოში CO2-ის გამოყოფის შემცირების მოთხოვნით გამოდიოდნენ.

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ მიღწეული შეთანხმების მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს და შეთანხმებას მხოლოდ პირველ ნაბიჯად მიიჩნევს. მერკელის აზრით, ახალ შეთანხმებამდე მიმავალი გზა ძალიან გრძელი იქნება.

ამავე აზრის არის ევროკომისიის ხელმძღვანელი ჟოზე მანუელ ბაროზუც, რომელიც აცხადებს, რომ შეთანხმება ევროკავშირის რეალურ მიზნებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. **"არ ვაპირებ იმის დამალვას, რომ იმედგაცრუებული ვარ,"** - განაცხადა ბაროზუმ.

იმ ფაქტს, რომ ყველა მხარისთვის მისაღები შეთანხმება ვერ შედგა, ევროკავშირის წარმომადგენელი, შვედეთის გარემოს დაცვის მინისტრი ადრეას კარლგენი ჩინეთს აბრალებს, რომელმაც შეთავაზებული ინიციატივები დაბლოკა. მისი აზრით, არანაკლებად არის დამნაშავე ამერიკაც, რომელიც უკეთ დამუშავებული და უფრო მისაღები შეთავაზებებით გვიან გამოვიდა.

სამიტის შედეგებს სკეპტიკურად შეხვდა რუსეთის დელეგაციაც. ისინი მიიჩნევენ, რომ კონფერენცია, საერთო ჯამში, საკმაოდ უიღბლო გამოდგა. ისინი ერთნაირად უკმაყოფილონი იყვნენ როგორც მიღებული დოკუმენტის შინაარსით, ასევე პროცედურული საკითხებით.

"ეს შეთანხმება არის პიარის გამარჯვება შინაარსზე. დოკუმენტი აღიარებს, რომ ტემპერატურის დათბობა ორ გრადუსამდე უნდა შეიზღუდოს, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად არაფერს აკეთებს," - აცხადებს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია “ოქსფამის” (Oxfam internationa) დირექტორი. ამავე აზრის არიან ბრიტანეთის მწვანეთა ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.

კონფერენციის ჩატარების ადგილთან ახლოს აქტივისტები სამიტით უკმაყოფილებას გამოხატავდნენ. მათი ლოზუნგი იყო "თქვენ ანგრევთ ჩვენს მომავალს", ხელთ კი ჰქონდათ პლაკატები ობამას პორტრეტით და ქვეშ წარწერით "სირცხვილი".

მოლაპარაკებათა ფინალური ფაზის დროს რამდენიმე ქვეყანა, მათ შორის სუდანი, ნიკარაგუა, კუბა, ვენესუელა და ბოლივია, აშშ-ს გეგმების წინააღმდეგ გამოვიდნენ. ამავე დროს თუ ლათინოამერიკელთა უკმაყოფლების მიზეზი განხილვის პროცესის მიმდინარეობა იყო, აფრიკელებს განხილვის შინაარსი არ მოსწონდათ.

სუდანის წარმომადგენელმა ლუმუმბა სტასლაუს დი-აპინგმა განაცხადა, რომ აფრიკის ქვეყნებს სამიტში მონაწილე მხარეები სთავაზობდნენ "სუიციდურ პაქტზე" ხელის მოწერას.

ასეთი კომენტარების ფონზე გაერო-ს გენერალური მდივნის განცხადება, რომ "დანიაში შეკრებილმა მსოფლიო ლიდერებმა აჩვენეს, თუ რას ნიშნავს იყო ლიდერი," - საკმაოდ ორაზროვნად ჟღერს.

# ამერიკა პაკისტანის ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა

## პაკისტანი ანტიტერორისტულ ბრძოლაში ამერიკის მნიშვნელოვან თხოვნას უარყოფს

გასულ კვირას ვაშინგტონისა და პაკისტანის ურთიერთობებზე მნიშვნელოვანი დარტყმა განხორციელდა, როდესაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ პაკისტანის ლიდერმა უარი თქვა, შეესრულებინა ობამას პირადი თხოვნა, რომელიც გულისხმობდა ამ ქვეყნის სახმელეთო ძალების მოქმედების გაფართოებას იმ რაიონებში, სადაც ადგილობრივ ტომებს შორის "ალ კაიდას" წევრებმა და თალიბებმა თავშესაფარი იპოვეს.




როგორც პაკისტანელი სამხედროები და დიპლომატები აცხადებენ, პრეზიდენტმა ასიფ ალი ზარდარიმ თეთრი სახლის ახალი სტრატეგიის გახმაურების წინ ობამას განუცხადა, რომ პაკისტანის არმია სასაზღვრო რაიონებში ექსტრემისტი ისლამისტების წინააღმდეგ საკუთარი გეგმის მიხედვით იბრძოლებს და ოპერაციის დაჩქარებას არ დათანხმდება, რასაც მას ვაშინგტონი სთხოვდა.

იმის შესახებ, რომ სამხრეთ ვაზირისტანში უახლოეს მომავალში არავითარი მსხვილმასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია არ იგეგმება, პაკისტანის მთავარმა სამხედრო მეთაურმა გენერალმა აშფაკ კაიანიმაც განუცხადა აშშ-ს ცენტრალური სარდლობის მეთაურ დევიდ პეტრეუსს.

ცნობილია, რომ სწორედ სამხრეთ ვაზირისტანს აფარებენ თავს თალიბებთან დაკავშირებული ტერორისტული დაჯგუფების ბოევიკები, რომლებსაც ჯალალუდინ ჰაკანი და მისი შვილი, "თალიბანის" შენაერთების მეთაური სირაჯი ხელმძღვანელობენ. ამერიკელი სამხედროების განცხადებით, ავღანეთის აღმოსავლეთ ნაწილში ამერიკელი სამხედროებისთვის ყველაზე დიდ საფრთხეს სწორედ სირაჯის ბოევიკები წარმოადგენენ.

პაკისტანის ხელისუფლება აშკარად მიანიშნებს, რომ სირაჯ ჰაკანის დევნა, რომელიც უკვე დიდი ხანია, პაკისტანის სპეცსამსახურების აგენტია, ეროვნულ ინტერესებს არ შეესაბამება, მით უფრო, რომ წელიწადნახევრის შემდეგ ამერიკა ჯარების გაყვანის პროცესის დაწყებს გეგმავს.

პაკისტანიდან ამერიკული სამხედრო ძალების გაყვანის შემდეგ სირაჯ ჰაკანის ხელისუფლებაში მოსვლის შესაძლებლობის გათვალისწინებით, ისლამაბადი მასთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებას ამჯობინებს, თუნდაც ამან ვაშინგტონის გაღიზიანება გამოიწვიოს.

ობამას ორი მნიშვნელოვანი თხოვნის შესრულებაზე პაკისტანის უარი მნიშვნელოვან კითხვებს ბადებს ვაშინგტონისა და ისლამაბადის მომავალი თანამშრომლობაზე.

პაკისტანის სამხედრო და სადაზვერვო უწყებებმა უკვე მიიღეს გაფრთხილება, რომ თუ ისინი თავიანთ ტერიტორიაზე თალიბების წინააღმდეგ უფრო აქტიურად არ იმოქმედებენ, ამას ამერიკა გააკეთებს. თეთრი სახლი აცხადებს, რომ გზავნილი ულტიმატუმი არ არის. თუმცა ობამას თქმით, "თეთრი სახლი ვერ აიტანს საიმედო თავშესაფარის არსებობას ტერორისტებისთვის, რომელთა ადგილსამყოფელი ცნობილია, მიზნები კი - ყველასთვის გასაგები." თავის მხრივ პაკსიტანი აცხადებს, რომ ტერორისტთა მთავარ თავშესაფარში შესაღწევი გზები არ არსებობს. შედეგად კი გამოდის, რომ ვაშინგტონი და ისლამაბადი ჩიხში შევიდნენ.

ახლა საკითხი ასე დგას: ხომ არ მივიდა ეს ურთიერთობები გარდამტეხ მომენტთან, როდესაც ამერიკამ მეგობრული თანამშრომლობის გეგმებზე შეიძლება უარი თქვას? თუმცა ექსპერტთა ნაწილს ასე მიაჩნია. მათი თქმით, თეთრი სახლი ამგვარი მსჯელობის საბაბს არ იძლევა.

პაკისტანის წასახალისებლად კონგრესმა შემოდგომაზე დააკმაყოფილა თეთრი სახლის თხოვნა დამატებითი თანხების გამოყოფის შესახებ, რომლებიც მომდევნო 5 წლის განმავლობაში პაკსიტანთან სამხედრო თანამშრომლობას და სკოლების, საავადმყოფოების და სხვა ობიექტების აშენებას მოხმარდება. თანხის საერთო რაოდენობა 7.5 მილიარდი დოლარია.

გარდა ამისა, ობამამ პაკისტანთან "შეუზღუდავი თანამშრომლობის" პირობა დადო, რაც იმას ნიშნავს, რომ ვაშინგტონი ისლამაბადის ყველა წინადადებას განიხილავს.

თუმცა ვშინგტონმა 7.5-მილიარდიანი დახმარების ფარგლებში პაკისტანის არმიის დაფინანსების პირობები მკაცრად განსაზღვრა, რამაც პაკისტანის სამხედრო მაღალჩინოსნებს შორის უკმაყოფილება გამოიწვია. და თუ ბოლო კვირის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებს გავითვალისწინებთ, ვაშინგტონი არ არის დარწმუნებული, რომ ამ ახალ მიდგომაზე ისლაბადის დაყოლიებას შეძლებს.

გასულ კვირას კი გავრცელდა ინფორმაცია, რომელიც ორ ქვეყანას შორის ისედაც ცუდ ურთიერთობას კიდევ უფრო ართულებს. კონკრეტულად კი, ზოგი წყაროს ცნობით, პაკსიტანის სამხედრო უწყებისა და დაზვერვის სამსახურების ზოგიერთი ქვედანაყოფი ეწევა საქმიანობას, რომელსაც აშშ-ს წარმომადგენლებმა "ამერიკელი დიპლომატების დევნის კამპანია" უწოდეს.

არსებული ინფორმაციით, კამპანიის ფარგლებში "აშშ-ს ასზე მეტ ოფიციალურ წარმომადგენელს უარი ეთქვა ვიზის გაგრძელებაზე, დიდ ქალაქებში კი ხშირად ჩხრეკენ დიპლომატიური ნომრების მქონე ამერიკული მანქანებს."

ეს ინფორმაცია სწორედ მაშინ გავრცელდა, როდესაც ამერიკელები ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს არაპოპულარული, თუმცა ეფექტიანი უპილოტო მფრინავი აპარატების პროექტის გაფართოებას განიხილავენ. 2008 წლიდან ასეთი აპარატების მეშვეობით, რომელთა მართვა კაბინეტიდან არის შესაძლებელი, "ალ კაიდას", სულ მცირე, 10 ლიდერის განადგურება მოხერხდა. თუმცა სწორედ ამავე საჰაერო დარტყმებს შეეწირა 300-მდე სამოქალაქო პირიც.

სწორედ უპილოტო თვითმფრინავებმა გამოიწვია პაკისტანში ანტიამერიკული განწყობის გაძლიერება. ჯერჯერობით თვითმფრინავების გამოყენება მხოლოდ სასაზღვრო ზოლში ხდება, თუმცა ოპერაციის გაფართოების შემთხვევაში საჰაერო დარტყმები ქალაქ კვეტაშიც განხორციელდება, სადაც მილიონი ადამიანი ცხოვრობს. არსებობს ეჭვი, რომ სწორედ ამ ქალაქში იმალება თალიბთა ავღანელი ლიდერი მოჰამედ ომარი.

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ამერიკასა პაკისტანს ერთმანეთი სჭირდებათ, მიუხედავად იმისა, რომ პაკისტანი ამას არ აღიარებს. ოქტომბრიდან დღემდე ტერაქტებს 500-ზე მეტი პაკსიტანელი შეეწირა. ამერიკის ჩარევის გარეშე პაკისტანი ამ პროცესს ვერ გაუმკლავდება. თუ ზარდარის მთავრობა დასავლეთთან არ ითანამშრომლებს, ქვეყანაში ხელისუფლება შეიძლება ექსპტრემისტებმა ჩაიგდონ ხელში.

ამერიკა-პაკისტანის თანამშრომლობის ალტერნატივა შეიძლება იყოს მხოლოდ ამერიკული სტრატეგიის სერიოზულად გადახედვა ან პაკისტანის, როგორც დემოკრატიული რესპუბლიკის სრული კრახი. ასეთი რამ კი ვაშინგტონში არავის სჭირდება.

*რადიო "თავისუფლების" (აშშ) მიხედვით მოამზადა*
*მარიკა იაშვილმა*

CMYK - 8



# სიახლე!

მიიღეთ საქართველოში ყველაზე
**დაბალპროცენტიანი სესხი**
ბანკ „რესპუბლიკისგან"

გახდით
ჩვენი
კლიენტი...

დაისვენეთ
მაღალი
პროცენტებისგან

- იპოთეკური სესხი

**13%** - დან

- ავტო და სამომხმარებლო სესხები

**19%** - დან

ჩვენი მრავალფეროვანი სესხები თქვენს განკარგულებაშია
თქვენი ხელფასის ან სხვა შემოსავლის ბანკ „რესპუბლიკაში"
გადმოტანისთანავე!

დაგვირეკეთ 90 90 90 (მობილურიდან *90 90) ან მობრძანდით ჩვენს
ნებისმიერ ფილიალში და ჩვენ მოგაწოდებთ ინფორმაციას, თუ როგორ
გადმოიტანოთ თქვენი შემოსავალი მარტივად.

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი

ტელ.: (822) 90 90 (90)
მობილურიდან: *90 90
www.republic.ge

CMYK - 8

FREE INDUSTRIAL ZONE
RAKIA GEORGIA




POTI FIZ
www.rakiageorgia-freezone.com

შპს Rakia Georgia FIZ (ფოთის სათაო ოფისი)
საქართველო, ფოთი, 4400, აღმაშენებლის ქ. 47
ტელ: (995 393) 25 25 4/5/6
ფაქსი: (995 393) 25 25 1/9

შპს Rakia Georgia FIZ (წარმომადგენლობა თბილისში)
საქართველო, თბილისი, 0103, თელავის ქ. 20
ტელ: (995 32) 27 77 33
ფაქსი: (995 32) 27 73 66

E-mail: info@rakiageorgia-freezone.com
drskc@rakiageorgia-freezone.com
www.rakiageorgia-freezone.com

საგადასახადო უპირატესობების შესახებ ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ ქ-ნ ნატო ფიფიას – n.pipia@rakiageorgia-freezone.com

## ფოთის თეატრი ბათუმში

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში დღეს საღამოს გასტროლებს მართავს ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი. ფოთის თეატრი ბათუმში წარმოადგენს ცნობილი ავსტრიელი დრამატურგის პიტერ ტურინის პიესას "ვირთხებზე ნადირობა".

სპექტაკლის რეჟისორია რალფ ზიბელტი (გერმანია), სცენოგრაფია ეკუთვნის მაქს ჯულიან ოტტოს (გერმანია). პიესის ქართული ადაპტაციის ავტორია ცნობილი თეატრმცოდნე და კულტურის ექსპერტი ლევან ხეთაგური.

სპექტაკლში ორი მსახიობი **ჯანო იზორია და მარიკა ბუკია** მონაწილეობს.

პროექტი განხორციელდა გოეთეს ინსტიტუტისა და საქართველოს რეგიონალური თეატრების ქსელის (**GRTN**) მხარდაჭერითა და თანამშრომლობით.

ფოთის თეატრის ისტორიაში ეს არის პირველი საერთაშორისო პროექტი, ხოლო ქართულ თეატრში კი თითქმის უპრეცედენტო იშვიათი ფაქტი, როცა რეგიონის თეატრში სპექტაკლს დგამს უცხოელი რეჟისორი.

ტურინი ქართულად პირველად ფოთის თეატრის სცენაზე აჟღერდა და ზედმიწევნით ქართულად, თანაც ისე, რომ არ დაკარგულიყო ავტორისეული სასაუბრო სტილისტიკა და დიალოგის ტურინისეული მანერა.

ახლა ამ სპექტაკლის ნახვის საშუალება თბილისელ მაყურებელსაც ექნება.

**რეჟისორი** რალფ ზიბელტი, დაიბადა 1945 წელს ქალაქ ესენში (გერმანია), არის ტიუბინგემის რეგიონალური თეატრის მთავარი რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, მუშაობდა ბოხუმისა და ჰამბურგის ტალია თეატრებში, ასევე ქალაქებში ალენი, ცელე.

**სცენოგრაფი** მაქს ჯულიან ოტტო დაიბადა 1972 წელს მიუნჰენში, მუშაობს მხატვრად და ილუსტრატორად საერთაშორისო კინოპროდუქციისათვის, მუშაობს ანიმაციაში. მისი ნამუშევრები გამოფენილია ბერლინის, პოზდამის და მიუნჰენის გალერეებში. 2004 წლიდან მუშაობს თეატრში.

## გამოფენა "ძველი და თანამედროვე თბილისი" ეროვნულ არქივში

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში გამოფენა "ძველი და თანამედროვე თბილისი" მიმდინარეობს.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია, ეროვნულ არქივში დაცული, 1890-1910 წლებში დიმიტრი ერმაკოვისა და 2009 წელს გიორგი მეურმიშვილის მიერ გადაღებული ფოტოები. ასევე, 1949 წლით დათარიღებული კინოსიუჟეტი თბილისის შესახებ. მასალა შერჩეულია ეროვნული არქივის ფოტო და კინო არქივებიდან.

"მინდა დიდი მადლობა გადავუხადო გიორგი მეურმიშვილს, რომელმაც თავდაუზოგავად იმუშავა ამ პროექტის განხორციელებაზე მთელი წლის განმავლობაში. იმედია, რომ გიორგი მეურმიშვილის ფოტოები ისევე დარჩება ისტორიას, როგორც დიმიტრი ერმაკოვის ფოტოები, რომლებსაც დღეს ვუყურებთ როგორც ჩვენს წარსულს", - აღნიშნა ღონიძიების გახსნისას ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა.

დამთვალიერებელს გამოფენაზე საშუალება მიეცა თვალნათლივ დაენახა, როგორ შეიცვალა გამოჩენილი ფოტოგრაფის თვალით დანახული თბილისი ერთი საუკუნის შემდეგ. 2009 წელს გადაღებული თანამედროვე თბილისი იმეორებს 1909 წელს ფირზე აღბეჭდილ დედაქალაქს.

ექსპოზიციის ფარგლებში გაიმართა, ეროვნული არქივის მიერ მომზადებული, 2010 წლის კალენდრის "ძველი და თანამედროვე თბილისი" პრეზენტაცია. კალენდარში შესულია გამოფენაზე წარმოდგენილი ფოტომასალა.

გამოფენა კიდევ 6 დღე გაგრძელდება, დათვალიერება თავისუფალია. მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზირი, 1.

## ახალი გალერეის გახსნა და გამოფენა

2009 წლის დღეს 18 საათზე, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ათონელის ქუჩა N27-ში **იხსნება ახალი გალერეა - "გალა",** სადაც გამოფენილი იქნება ძველი და ახალი კლასიკოსების ნამუშევრები. ისეთი, როგორებიც არიან: **ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე, ელენე ახვლედიანი, სერგო ქობულაძე, პეტრე ოცხელი, ირაკლი გამრეკელი, კირილე ზდანევიჩი** და სხვა. სწორედ ასეთი მნიშვნელობის მხატვრების გვერდით იფინება თანამედროვე მხატვრების ნამუშევრები: **ირაკლი ფარჯიანი, ალბერტ დილბარიანი, გაიანე ხაჩატურიანი, მერაბ აბრამიშვილი, მიშა ხვიტია, მამუკა ცეცხლაძე, ოლეგ ტიმჩენკო, ლევან ჭოლოშვილი, ვახტანგ ბუღაძე, გია ბუღაძე, ედმუნდ კალანდაძე, გოგი ჩაგელიშვილი, ზურაბ ნიჟარაძე** და სხვა. ამგვარად ეს გამოფენა გვაძლევს საშუალებას თვალი გავადევნოთ თანამედროვე ქართული მხატვრობის განვითარებას, დაწყებული XX საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე დღემდე.

გალერიის გახსნას დაესწრებიან ცნობილი ქართველი მხატვრები.

გალა გალერეა მომავალში მიზნად ისახავს არამარტო აღიარებული კლასიკოსი მხატვრების რეტროსპექტიული გამოფენების მოწყობას, არამედ თანამედროვე მოქმედი მხატვრების პოპულრისაციასაც. გალერეაში მოეწყობა, როგორც პერსონალური, ასევე ჯგუფური გამოფენები. **"24 საათი".**

დღეს, 20 საათზე, რუსთაველის თეატრში კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო წარმოგვიდგენს ქართველი მსახიობის, ოთარ კობერიძის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საღამოს. საღამოზე მუსიკალური ნაწარმოებებით გაამრავალფეროვნებს ნიკა მემანიშვილის ორკესტრი. **"24 საათი".**

# "მურმანას" ამბავი

### ბესო ხვედელიძის "მეცამეტე კოპლი" ჟურნალმა Октябрь წლის საუკეთესო მოთხრობად დაასახელა

ია ვეკუა



**Мурмана отымели!** - ასე იწყება ამ მოთხრობის რუსულენოვანი ვერსია, რომელიც ორიგინალში გაცილებით ცხოველურად და გასაგებად ჟღერს, თუმცა ამგვარ სკაბრეზულ დასაწყისს რუსი ლიტერატორებისთვის ხელი არ შეუშლია მოთხრობა ბოლომდე ჩაეკითხათ, შეეფასებინათ და სათანადოდაც დაეფასებინათ კიდეც - ბესო ხვედელიძის მოთხრობა "მეცამეტე კოპლი" პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ქართული ნაწარმოებია, რომელმაც რუსული ლიტერატურული გამოცემების პრემია დაიმსახურა.

მიმდინარე წლის 22 დეკემბერს ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან ცნობილი ყოველთვიური ლიტერატურული ალმანახი Октябрь 85 წლის იუბილეს აღნიშნავს. ამავე დღესაა დაგეგმილი წლის საუკეთესო ნაწარმოებების ავტორთა დაჯილდოება, რომელსაც ბესო ხვედელიძე გასაგები მიზეზების გამო ვერ დაესწრება. დაჯილდოების ცერემონიალზე მხოლოდ მის მიერ გაგზავნილ ტექსტს წაიკითხავენ, საპასუხოდ კი პრემიას და პრიზს გამოუგზავნიან. პროზის ნომინაციის ჯილდო ხვედელიძემ ადგილობრივ ვალერი პოპოვთან გაინაწილა, რომელიც ბესოსგან განსხვავებით ახლა ალბათ ცერემონიალზე ჩასაცმელად გამზადებულ კოსტუმს ჰალსტუხს უხამებს, თუმცა პოპოვი ახლა ყველაზე ნაკლებად გვაინტერესებს - ჩვენთვის მთავარი გმირი ქართველი მწერალი და მისი მურმანაა, რომელიც უკაცრავად და მოტყ..."დაგაყარე მიწა! - აკივლდა ამ დროს ბებია ბაბო, - ვინ გასწავლა ეგეთი სიტყვები, ვინ?!"

ბესო ხვედელიძე ერთადერთი ქართველი ავტორი არ იყო, რომელიც Октябрь-ის ერთ-ერთ ზაფხულის ნომერში მოხვდა. ჟურნალის რედაქციას მთლიანად ქართული ნომრის გაკეთება ჰქონდა განზრახული, რომელშიც რამდენიმე თანამედროვე ქართველი ავტორის ნაწარმოებები შევიდოდა, თუმცა ეს იდეა მხოლოდ იმ მიზეზით ვერ განხორციელდა, რომ თარგმანების ხარისხი ჟურნალის სტანდარტებს არ შეესაბამებოდა. მისაღები მხოლოდ ახალგაზრდა პოეტის ანა გრიგის თარგმანები აღმოჩნდა, მასალა კი მხოლოდ ჩანართისთვის იყო საკმარისი. შედეგად Октябрь-ის მკითხველმა ბესო ხვედელიძის გარდა დავით ქართველიშვილის, დათო ჩიხლაძის, რუსუდან კაიშაურის, მაია სარიშვილის, შოთა იათაშვილის, ეკა ქევანიშვილისა და თავად ანა გრიგის ნაწარმოებები მიიღო.

ანა გრიგს კი ხვედელიძის "მეცამეტე კოპლის" თარგმნისას ნამდვილად უყოჩაღია, რადგან პირველი ფრაზის თარგმანის რამდენიმე შესაძლო ვარიანტი შეურჩევია. ვინაიდან Октябрь 85 წლის "თმაშევერცხლილი" და შესაბამისად სერიოზული გამოცემაა (რომლის მკითხველის დიდ ნაწილსაც ალბათ საშუალოდ ამ ასაკის ადამიანები წარმოადგენენ), შეირჩა ყველაზე უპრეტენზიო, აკადემიური სიტყვა. "ვისურვებდი, რომ ამ სიტყვის რუსული თარგმანი ისეთივე სახასიათო ყოფილიყო, როგორც ეს ქართულშია, რადგან პირველი ფრაზა მთელი მოთხრობის ხასიათსაც განსაზღვრავს. ჟურნალი თანამედროვე რომ ყოფილიყო, ეს საკითხი გაცილებით უმტკივნეულოდ გადაიჭრებოდა", - ამბობს ბესო ხვედელიძე.

"მურმანა", "ნოდარა", "ელისო", "ელზა", "ბაბო", "ბიჩოკა", "ზორო", "კოლია" და "თავგასა" - ესენი ბესოს მოთხრობის გმირები არიან, მარცხენა ფერდი ყველას თეთრად უქათქათებს, მარჯვენაზე კი ცამეტი ერთნაირი შავი კოპლი ამშვენებთ. ისინი ძროხები არიან, კოპლიანის ჯიშის ძროხები, რომლებიც ერთმანეთისგან მხოლოდ თეთრ ფერდზე აკადნუსხურით მიწერილი სახელებით თუ განსხვავდებიან... და სწორედ მაშინ, როდესაც წვიმით სახელჩამორეცხილ "მურმანას" პატრონი ზეთში გაზავებულ მელანში ამოვლებული ფუნჯით სახელის მისაწერად მიადგება, აღმოაჩენს, რომ ცამეტის ნაცვლად კოპლების რაოდენობა მხოლოდ თორმეტია... "მურმანას" ამბავიც აქედან იწყება.

არ არის გამორიცხული, ზედა აბზაცში წაკითხული მომავალში კინოეკრანზე იხილოთ, რადგან თავდაპირველად "მურმანას" გაბახების ამბავი სწორედ ამისთვის იყო გამიზნული. "ქართული სოფლის ცხოვრებაზე, ერთ პატარა ისტორიაზე კინოსცენარის დაწერა მსურდა, თუმცა ეს იდეა ცოტა ხნით გადავდე, რადგან "მეცამეტე კოპლი" მაინც მოთხრობად შეიქმნა. მომავალში მოთხრობის გასცენარებას ვაპირებ, იქნებ მისი გადაღებით ვინმე დაინტერსდეს კიდეც", - ამბობს ბესო. დაწერა, შემდეგ კი ლიტერატურულ კონკურს "წეროს" შესარჩევ ტურზე წარადგინა. მოთხრობამ კონკურსზე მეორე ადგილი მოიპოვა, მოგვიანებით "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" 2006-2007 წლების "15 საუკეთესო მოთხრობაში", ბოლოს კი ავტორის წლევანდელ კრებულ "თაგვის გემოში" მოხვდა.

# "ბილბორდი" დეკადას აფასებს

### A Bigger Bang Tour ათწლეულის ყველაზე წარმატებული ტურნეა

ისევე, როგორც ყველა სერიოზული გამოცემა, ჟურნალი "ბილბორდიც" წლის შედეგებს აქვეყნებს. თუმცა ამჯერად მისმა გამომცემლებმა მთელი დეკადის შეფასება გადაწყვიტეს და ათწლეულის ყველაზე წარმატებული მუსიკოსებისა და ყველაზე შემოსავლიანი ტურნეების რეიტინგები გამოაქვეყნეს. აღმოჩნდა, რომ ეს წლები ზოგ ჯგუფს ტყუილად ნამდვილად არ გაუტარებია - მათი ანგარიშები რამდენიმე მილიონი დოლარით შეივსო.

აღმოჩნდა, რომ ამ მხრივ ყველაზე ნაყოფიერად "როლინგ სთოუნს" უმუშავია, რომლის მსოფლიო ტურნე A Bigger Bang Tour უკვე დიდი ხანია ყველაზე შემოსავლიანად არის აღიარებული. ჯგუფმა ეს ტურნე 2005 წლის 21 აგვისტოს ნიუ იორკში დაიწყო და 2007 წლის 26 აგვისტოს დასრულდა. ორი წლის განმავლობაში ბებერმა როკერებმა დედამიწის ყველა კონტინენტი შემოიარეს და ორასზე მეტი კონცერტი გამართეს. თუმცა ერთხელ ტურნეს შეწყვეტა მოუწიათ: 2006 წლის აპრილში ახალი ზელანდიის ქალაქ ველინგტონში ჩატარებული კონცერტის შემდეგ მუსიკოსებმა დასვენება გადაწყვიტეს და კუნძულ ფიჯიზე გაემგზავრნენ, სადაც საკმაოდ მოკრძალებული ასაკის კეით რიჩარდსმა ქოქოსის პალმაზე აძრომა მოისურვა. აძრომით კი აძვრა, მაგრამ უკან ჩამოსვლა მხოლოდ ალტერნატიული გზით მოახერხა - მარტივად რომ ვთქვათ, რიჩარდსი ხიდან ჩამოვარდა, რის შედეგადაც ჰოსპიტალში მოხვდა. თუმცა მალე გამოჯანმრთელდა და ჯგუფმა ტურნე გააგრძელა. მთლიანობაში ტურნეს ფარგლებში "როლინგ სთოუნმა" 264 კონცერტი ჩაატარა და 869 მილიონი დოლარი შემოსავალი მიიღო. კონცერტებს მთლიანობაში რვა მილიონამდე მსმენელი დაესწრო, ხოლო მისი მსვლელობისას მარტინ სკორსეზემ დოკუმენტური ფილმი Shine a Light გადაიღო.

მეორე ადგილზე გავიდა ირლანდიული U2 360 Degree Tour-ით, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ეს ტურნე ჯერ კიდევ გრძელდება, არ არის გამორიცხული "როლინგების" რეკორდიც მოხსნას. ეს სწორედ ის ტურნეა, რომელზეც ბოლო ერთი კვირის განმავლობაში არაერთხელ დავწერეთ და ვისაუბრეთ (ალბათ გახსოვთ პრეზიდენტის დაპირება U2-ს საახალწლოდ ჩამოყვანასთან დაკავშირებით, რაც საბოლოოდ არ გამართლდა). დღეისთვის ჯგუფმა 288 კონცერტი ჩაატარა და მთლიანმა შემოსავალმა 844 მილიონი შეადგინა, კონცერტებს კი ათ მილიონამდე მსმენელი დაესწრო. ტურნე საკმაოდ ძვირად ღირებულია, რადგან მუსიკოსები არა ჩვეულებრივ, არამედ არაჩვეულებრივ სცენაზე უკრავენ - ეს არის უზარმაზარი კონსტრუქცია არამიწიერი დიზაინით, რომლის დაშლას და აწყობას რამდენიმე დღე და ასამდე მუშა სჭირდება. სხვათა შორის, არ არის გამორიცხული, ეს საოცარი სცენა და მასთან ერთად ბონო და კომპანია საქართველოშიც ვიხილოთ, თუმცა ამაზე ოდნავ მოგვიანებით...

Sticky & Sweet Tour - ასე ჰქვია მადონას ტურნეს, რომელიც 2008 წლის აგვისტოდან მიმდინარე წლის სექტემბრამდე გაგრძელდა. ამ დროის განმავლობაში მომღერალმა 248 კონცერტი ჩაატარა და საკუთარი ანგარიში 800 მილიონი დოლარით შეავსო. ტურნე ალბომ "ჰარდ ქენდის" მხარდასაჭერად ჩატარდა. კონცერტები მადონასთვის ჩვეულ სტილში მიმდინარეობდა: სცენაზე ათობით მოცეკვავე გამოდიოდა, რომლებიც მადონასთან ერთად წარმოუდგენელ შოუს დგამდა. თითო კონცერტის განმავლობაში მომღერალი იმდენ კოსტიუმს იცვლიდა, რომ Sticky & Sweet Tour ერთ-ერთ ყველაზე მოდურ ტურნედაც აღიარეს.

ყველაზე შემოსავლიან და მასშტაბურ ტურნეებად "ბილბორდმა" ასევე დაასახელა ბრუს სპრინგსტინის, ელტონ ჯონის, სელინ დიონის, "დეივ მეტიუს ბენდის", კერი ჩესნის, "ბონ ჯოვის", ბილი ჯოელის, "პოლისის", "იგლზის", ტიმ მაკროუს, "აეროსმიტისა" და შერის გასტროლებიც.

როგორც გითხარით, "ბილბორდმა" დეკადის საუკეთესო და წარმატებული მუსიკოსებიც დაასახელა. აღნიშნული რეიტინგები გაყიდული ალბომების რაოდენობისა და ჰიტ აღლუმებში დაკავებული ადგილების მიხედვით შეადგინა. აღმოჩნდა, რომ ათწლეულის წარმატებულ მუსიკოსებს რეპერი ემინემი ლიდერობს, რომლის ოთხი სტუდიური ალბომიც "ბილბორდის" 200 საუკეთესო ალბომის ჩამონათვალში ლიდერობდა. ამ ჰიტ აღლუმის პირველ ადგილზე ემინემის მხოლოდ 1999 წლის სადებიუტო The Slim Shady LP არ გასულა - იგი მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდა. მთლიანობაში კი ამ დროის განმავლობაში ემინემმა 33 მილიონამდე ალბომი გაყიდა. გარდა ამისა, რეპერის ბოლო ალბომმა Relapse ამერიკაში ყველანაირი რეკორდი მოხსნა, თუმცა როგორც კი სიუზენ ბოილის სადებიუტო ჩანაწერი გამოვიდა, პოზიციების დათმობა მოუწია.

მეორე ადგილზე ცხადია ბიონსი გავიდა. ამ მომღერალმა ცოტა ხნის წინ "პოპის დედოფლის" ტიტული მიიღო და ათწლეულის ყველაზე წარმატებულ ქალ შემსრულებლად იქცა. სიაში ბიონსის შემდეგ აშერის, ასევე რეპერ ნელის, ალისია კეისის, ბრიტნი სპირსის, "დესთინის ჩაილდის", ჯეი ზის და სხვების სახელები იკითხება.

# ცის იქით კიდევ ცა არის...

## გამოიცა მაკა ბლიაძის ლექსების კრებული

თამარ კიკნაველიძე

მაკა ბლიაძე პოეტია. მისი ლექსების მეხუთე კრებულის, სახელწოდებით "დღეის ფიქრადა მოსულხარ", პრეზენტაცია "თეატრ ათონელში" გაიმართა. მან შემოიკრიბა ადამიანები, რომლებთანაც ლექსებმა დააახლოვა და მათი მონაწილეობითა და თანადგომით, მაყურებელს პოეზიის, მუსიკისა და სიყვარულის საღამო (რეჟისორი ლაშა გოგნიაშვილი) აჩუქა.

მაკა ბლიაძე 150-ზე მეტი სიმღერის ტექსტის ავტორია და შეუძლებელია რომელიმე მაინც არ გქონდეთ მოსმენილი. მის ლექსებზე არაერთი მღერის. მათ შორის განსაკუთრებულია "ქართული ხმების" უფროსი და უმცროსი თაობის წარმომადგენლების მიერ შესრულებული სიმღერები. ამ ანსამბლის წევრების გვერდით, სცენაზე თეატრალური კვარტეტიც გამოვიდა, იმღერა დათუნა სირბილაძემ, ლელა თელიამ და მუსიკალური ნომრებით კომპოზიტორ ქეთი გაბისიანისა და მაკა ბლიაძის ტანდემის წარმატებაც გამოიკვეთა. ისინი დიდი ხნის მეგობრები არიან, ერთად 70 სიმღერაზე იმუშავეს და როგორც პოეტი აღნიშნავს, ერთმანეთის უსიტყვოდ ესმით.

ქეთი გაბისიანის გარდა, რომელმაც კრებულის პრეზენტაციაზე რამდენიმე სიმღერა თავად შეასრულა, მაკა ბლიაძის ლექსებზე სიმღერები შექმნეს კომპოზიტორებმა: ნინო ომიაძემ, ნუნუ გაბუნიამ, მაიკო ჩხეიძემ, ჟენია ჭავჭავაძემ, მიშიკო რამიშვილმა, რომან რცხილაძემ, დავით არჩვაძემ... ამ უკანასკნელთან თანამშრომლობით დაიბადა "კურთხეული საქართველო", რომელმაც პირველად ორგანიზებულ "პატრინოტზე" გაიმარჯვა. ამის გარდა, პოეტი არაერთი საბავშვო სიმღერის ტექსტის ავტორია. საპატრიარქოს დაფინანსებით გამოვიდა მუსიკალური ალბომი, რომელზეც ჩაწერილ "სიმღერას სიყვარულზე" ზაურ ბოლქვაძე "ქართული ხმების" ორივე თაობის წარმომადგენლებთან ერთად ასრულებს (ტექსტის




ავტორია მაკა ბლიაძე, კომპოზიტორი დათო არჩვაძე).

ახალ კრებულს ახლავს წინასიტყვაობა, რომელიც გიორგი ალიბეგაშვილს ეკუთვნის და პოეტის შემოქმედების განსაკუთრებულობას ლაკონურად გვიხსნის.

"ეს მაკა ბლიაძის მეხუთე პოეტური კრებულია. მასში შეტანილია წინა წლებში და ახლად შექმნილი ლექსები, რომლებიც ქართული ხალხური პოეზიის რიტმებითა და მხატვრული სახეებითაა შთაგონებული და გაჯერებული; თუმცა ამ კრებულში იგრძნობა ღრმა პოეტური ინდივიდუალობაც და ის უნებლიე "ნაწილიანობა", რომელიც თითოეულ შემოქმედს თავისი ხალხის კულტურასთან აკავშირებს. ფოლკლორული პოეზიის დარად, მაკა ბლიაძის ლექსები გამოირჩევა სისადავით, ვინაიდან მათში უაღრესად პოეტური ხატებიც აზრობრივად ნათელია; მუსიკალობით - რაც ამ შემოქმედის პოეზიას ზოგადად ახასიათებს: სილაღითა და ძალდაუტანებლობით, რადგან ვერსად შეხვდებით რაიმე მძიმე გამოთქმას, ან ნებსით თუ უნებლიეთ გაბუნდოვანებულ მხატვრულ სახეებს", - წერს გიორგი ალიბეგაშვილი.

წიგნში შეტანილი ილუსტრაციები აწგარდაცვლილ მხატვრებს, ანზორ ჩხაიძესა და პაატა ყუფარაძეს ეკუთვნით. მაკა ბლიაძის ლექსები წაიკითხეს მსახიობებმა: ზურაბ ნიჟარაძემ, რამაზ და ანი ფილფანებმა, ლელა თელიამ, გვანცა ჭელიძემ. საღამო მაია ღუღუნიშვილს მიჰყავდა. მამა ზაქარია ძინძიბაძემ აღნიშნა: "ქარი დამიმეგობრდაო, წერს მაკა... ძველქართულში კი ქარი ანგელოზს ნიშნავს... და მაშინ, როდესაც ზოგიერთს ერთის სიყვარულიც ეზარება, ეს ადამიანი ყველას სიყვარულს იტევს და ახერხებს".

მართლაც სიყვარულის გამხელაა მისთვის თითოეული ლექსი, კრებული, თუ საღამო... კრებულის ფერად გვერდს თან სდევს წარწერა: "ხელ შემაშველე, თორემა / არ გამიტაცონ ფიქრებმა, / ცის იქით კიდევ ცა არის, / გულს იქით გული იქნება." მისი ლექსები იბადებიან და ხშირად სიცოცხლეს სიმღერებად აგრძელებენ. როდესაც მიჭირს, ჩემი შემოქმედება დახმარების ხელს აქეთ მიწვდისო, ამბობს ავტორი. მას გვერდით ჰყავს ადამიანები, რომლებთან ურთიერთობებითაც ივსება და მათდამი სიყვარულს ლექსებით გამოხატავს. მათი ერთგულება საღამოზეც დადასტურდა. ერთადერთი, რაზეც მაკა ბლიაძეს გული წყდება, ეს სიმღერების ტექსტის ავტორებისადმი არასწორი დამოკიდებულებაა. "ჩემს ლექსებზე შექმნილი სიმღერები სხვადასხვა კონკურსებში მონაწილეობდნენ და გეტყვით, რომ კონკურსებში გამარჯვებული ნამუშევრის ტექსტის ავტორს დიპლომსაც კი არ აძლევენ სამახსოვროდ მაინც რომ დარჩეს... ეს არ არის სწორი და გულსატკენია, რადგანაც ასეთ კონკურსებს აქვთ თემატიკა, რომლის მიხედვითაც პოეტმა ლექსი უნდა დაწეროს და ეს უბრალო საქმე არ არის...", - ამბობს მაკა ბლიაძე. მისი ახალი კრებულის სახეთ კი, როგორც გიორგი ალიბეგაშვილი აღნიშნავს, "პოეზიის მოყვარულთ წინ ამაღლვებელი სიმშვიდისა და სიყვარულის სამყაროში ყოფნის უმშვენიერესი წუთები ელით".

# სარკოზის ინიციატივები კულტურული მემკვიდრეობისთვის

ეგვიპტელ ფარაონთა საფლავის ფილები, რომლებიც პარიზში, ლუვრში ინახებოდა, საფრანგეთმა ეგვიპტეს დაუბრუნა. ამით საფრანგეთმა წერტილი დაუსვა იმ უთანხმოებას, რომელიც ამ ორ ქვეყანას შორის ბოლო დროს ჩამოყალიბდა.

საფლავის ფილების ეგვიპტისათვის გადაცემის ინიციატივა, თავად საფრანგეთის პრეზიდენტს, ნიკოლა სარკოზის ეკუთვნის. მან ეგვიპტის პრეზიდენტის, - ჰოსნი მუბარაქს, პარიზში ვიზიტის დროს, პირადად გადასცა ერთ-ერთი ფილა.

ეს რელიკვია აღნიშნულმა მუზეუმმა 2000 წელს საფრანგეთში, ერთ-ერთ გალერეა "მასპეროსაგან" შეისყიდა, ხუთი ფრაგმენტი კი 2003 წელს პარიზში გამართულ აუქციონზე იყიდა. თავდაპირველად არც ეგვიპტე ეწინააღმდეგებოდა ამ უნიკალური ობელისკების პარიზში, ლუვრის მუზეუმში განთავსებას. მოგვიანებით კი, ეგვიპტემ უარი განაცხადა მუზეუმთან თანამშრომლობაზე. შეწყდა რამდენიმე დაგეგმილი კონფერენცია და ეგვიპტის დედაქალაქ, ქაიროდან სამხრეთით მიმდინარე გათხრები და არქეოლოგიური სამუშაოები. საუბარია ფარაონთა საფლავის ქვებზე, რომლებიც ლუქსორთან ახლოს, ქაიროდან სამხრეთით 700 კილომეტრში მდებარეობს.



მათი ზომა არც ისე დიდია, სიგრძე 30 სმ, ხოლო სიგანე - 15. აღსანიშნავია, რომ ეს რელიკვიები მსოფლიოს არაერთ წამყვან მუზეუმში იყო გამოფენილი.

როგორც ეგვიპტის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ სიძველეთა დარგში, - ზაჰი ჰავასმა აღნიშნა, ფრანგულმა მხარემ თავიდანვე იცოდა იმის შესახებ, რომ ფილები არალეგალურად იყო მოპოვებული, უფრო კონკრეტულად - ნაქურდალი იყო. თუმცა, ამ ფაქტის ცოდნას ლუვრის ხელმძღვანელობა სასტიკად უარყოფს. ორშაბათს, საფრანგეთის პირველმა პირმა, - ნიკოლა სარკოზიმ განაცხადა, რომ ეჭვი, რელიკვიების არალეგალურობის შესახებ მხოლოდ ნოემბერში გაჩნდა. "საფრანგეთი ამაყობს არალეგალური ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული წარმატებების გამო, მით უფრო როცა საქმე ეხება ხელოვნების ნიმუშებს" - აღნიშნა პრეზიდენტმა სარკოზიმ.

საფრანგეთის პრეზიდენტმა, რამდენიმე დღის წინ, კიდევ ერთი ახალი ინიციატივა წამოაყენა. მან 750 მილიონი ევრო ლიტერატურული ნაწარმოებების, ისტორიული დოკუმენტებისა და ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის აუდიოვიდეო მასალაზე ასახვა-დაფიქსირებისთვის გამოყო. თანხა, რომლის შესახებაც სარკოზიმ განაცხადა იმ 35 მილიარდიანი გრანტის ნაწილია, რომელიც უნივერსიტეტის, სხვადასხვა კვლევებისა და ტელეკომუნიკაციებისთვისაა განკუთვნილი.

აღსანიშნავია, რომ პროექტის განხორციელების იდეა "Google Book Search"-ეკუთვნის. გასულ კვირას, საფრანგეთის კულტურის მინისტრი, - ფრედერიკო მიტერანი "Googli"-ის ვიცე-პრეზიდენტს, დევიდ დრამონდს შეხვდა, სადაც მათ მომავალი თანამშრომლობის შესახებ დეტალებზე ისაუბრეს. საფრანგეთის ნაციონალურმა ბიბლიოთეკამ კი ამ წლის აგვისტოში უკვე ღიად განაცხადა ამ მოლაპარაკებების შესახებ.



## აფიშა

21 დეკემბერი

**კინო**

**რუსთაველი**

**"გოგონა სლაიდიდან"**
დასაწყისი: 12:00, 15:00, 17:30, 20:00, 22:15
(დარბაზი 1)

**"პლანეტა 51"**
დასაწყისი: 12:00, 14:00, 16:00, 18:00, 20:00, 21:30
(დარბაზი 2)

**"ყველაფერი კარგად იქნება"**
დასაწყისი: 12:30, 16:15, 20:15

**"გაღმა ნაპირი"**
დასაწყისი: 14:15, 18:15, 22:15
(დარბაზი 3)

**"ამანათი"**
დასაწყისი: 12:15, 14:30, 17:00, 19:30, 22:00
(დარბაზი 4)

**"2012"**
დასაწყისი: 13:00, 16:00, 19:00, 22:00
(დარბაზი 5)

**ამირანი**

**"გოგონა სლაიდიდან"**
დასაწყისი: 12:00, 14:30, 17:00, 19:30, 22:00.
(დიდი დარბაზი)

**"2012"**
დასაწყისი: 12:00, 17:30

**"ახალი მთვარე"**
დასაწყისი: 15:00, 20:00, 22:15
(მცირე დარბაზი

**გამოფენები**

**გალერეა "ვერნისაჟი"**
ნინო სლეპჩენკოს ნამუშევრების გამოფენა

**არტ გალერეა "ლაინი"**
ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია - (ფერწერა, ქანდაკება)

**მეიდან არტ ჰოლი**
ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია - (ფერწერა, ქანდაკება)

**მანანა არტ სალონი**
თანამედროვე ქართული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევართა გამოფენა

**გალერეა "კამეა"**
ქართველი მხატვრების ჯგუფური გამოფენა - (ფერწერა, გრაფიკა, ფაიფური, მინანქარი, ხის ნაკეთობები...)

**მინანქრის გალერეა "ორნამენტი"**
მუდმივმოქმედი ტიხრული მინანქრის გამოფენა-გაყიდვა

**მუსიკა**

**ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
"ჯეოსტარი"
დასაწყისი: 19.00

## ვირუსის შემცირების მოლოდინში

საქართველოში ახალი ტიპის გრიპის ვირუსის გავრცელების ტემპი, დამდეგი კვირიდან მოიკლებს. ამის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ალექსანდრე კვიტაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, სტატისტიკურად, სწორედ განვლილი პერიოდი მიიჩნეოდა ვირუსის გავრცელების ყველაზე მაღალი მაჩვენებლის პერიოდად.

"ქვეყანაში, ვირუსული ინფექციის გავრცელების ყველაზე მაღალი რისკის მატარებელი ორსულები რჩება. ამ დროისათვის, 8 ადამიანია მძიმე მდგომარეობაში და ისინი ხელოვნურ სასუნთ აპარატზე არიან მიერთებული. ამის მიუხედავად, მინდა ვთქვა, რომ მათი გამოჯანმრთელების შანსი მაღალია. ოფიციალურად, დეკემბრის შუა რიცხვებამდე, 55 ათასმა ადამიანმა მიმართა ექიმს. პრევენციის ყველაზე კარგი საშუალებაა ვირუსის პირველივე სიპტომებისთანავე, ექიმს მივმართოთ. 210 ადამიანი, უკვე ჰოსპიტალიზებულია. მომავალი კვირიდან, ვირუსის დაცემას და კლებას ვლოდებით." - აღნიშნა "მედიანიუსის" ცნობით, კვიტაშვილმა.

მინისტრის განცხადებით, სახელმწიფო ვერ დაეხმარება იმ ადამიანების ოჯახებს, ვინც ე.წ. ძღორის გრიპით" გარდაიცვალნენ. მისი თქმით, სახელმწიფო მხოლოდ მკურნალობის პერიოდში ახორციელებს დახმარებას.

მინისტრმა უარყო ის განცხადებაც, რომ თითქოსდა ქვეყანაში პირბადეებისა და ვიტამინ C-ს დეფიციტი იყოს. აღნიშნული განცხადება მან აჭარის რეგიონის სააფთიაქო ქსელში ამ მედიკამენტების რეალური დეფიციტის კომენტირებისას გააკეთა, თუმცა კვიტაშვილმა განაცხადა, რომ სააფთიაქო ქსელი კერძო სექტორს წარმოადგენს და სახელმწიფოს მსგავსი მარაგის ნაკლებობა არ გააჩნია.

## კონტროლის პალატამ სოფლის მეურნეობის სამინისტროში დარღვევები აღმოაჩინა

კონტროლის პალატამ დარღვევები ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად, სოფლის მეურნეობის სამინისტროშიც აღმოაჩინა.

კერძოდ, ჩატარდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული "სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციის პროგრამის" აუდიტი, რომლის შედეგად აღმოჩენილი მთავარი პრობლემა განსახორციელებელი სამუშაოების არასწორი დაგეგმვაა.

კერძოდ, კონტროლის პალატის ინფორმაციით, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით პროგრამის თავდაპირველი ღირებულება განისაზღვრა 4 მლნ 800 ათასი ლარით, ხოლო ორიოდე თვეში, პარლამენტში საბიუჯეტო განხილვების დროს ეს თანხა აღმასრულებელი ხელისუფლების ინიციატივით 14 მლნ ლარამდე გაიზარდა. ამის შედეგად ოთხ ობიექტზე სარეაბილიტაციო სამუშაოებს ჩასატარებლად საჭირო 8 მლნ 800 ათასი ლარი პროგრამაში ყოველგვარი გაანგარიშების (დასაბუთების) გარეშე აისახა. გარდა აღნიშნულისა, სარწყავი სისტემების საპროექტო სამუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილი არ განხორციელდა ან ხარვეზებით და ხარჯების ზრდით შესრულდა.

გარდა ამისა, აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას არასათანადოდ და უხარისხოდ ორგანიზებულმა ტექნიკურმა ზედამხედველობამ სახელმწიფო პირდაპირ დაახლოებით 20 ათასი ლარით აზარალა, თუმცა არის არაპირდაპირი ზიანიც, რომელიც, შესაძლოა ასეულობით ათას ლარს აჭარბებდეს.

აუდიტმა გამოავლინა ასევე სამშენებლო კომპანიების მიერ სატენდერო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტებიც; ახალი მილების ნაცვლად სისტემების რეაბილიტაციის ან მშენებლობისთვის მეორად ამორტიზებული მილების გამოყენება, რაც დოკუმენტალურად არის გამყარებული.

"ამ დოკუმენტებისა და მათში ასახული მონაცემების რეალობას, ისევე როგორც სხვა დარღვევების საკითხს, სამართალდამცავები სწავლობენ, რომელსაც ვფიქრობთ ადეკვატური რეაგირება მოჰყვება", - აღნიშნავენ კონტროლის პალატაში.

# დროსა და სივრცეში

სოფიო თოდუა



მე თუ მკითხვათ, თბილისში ორი კარგი ძეგლი დგას: თენგიზ კიკალიშვილის "კონსტანტინე გამსახურდია" და ვაჟა მელიქაშვილის "მომლოდინე დედა". ამ წინადადებისთვის რომ გამაკრიტიკებენ, ვიცი და, ალბათ, კიდევ ბევრ სკულპტურაზე მიმითითებენ, მაგრამ ისიც ვიცი, როცა საუკეთესო ქანდაკებების ხუთეულებს, ათეულებსა თუ ოცეულებს შეადგენენ, ეს ორი ძეგლი ამ ჩამონათვალშიც ჩაიწერება. როგორც საუკეთესოს შემთხვევაში ხდება ხოლმე, განსაკუთრებით ჩვენთან, ორივეს დადგმას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ვაჟა მელიქიშვილის ქანდაკებას იმიტომ იწუნებდნენ, რომ, ძველი სტერეოტიპის თანახმად, ომგამოვლილი და ტერიტორიებდაკარგული საქართველოს სიმბოლო კვლავინდებურად "ქართლის დედა" უნდა იყოს და არა - "მომლოდინე დედა", რომელიც სავარაუდოდ ომში დაკარგულ შვილს ელის. რაც შეეხება "კონსტანტინე გამსახურდიას", რომელიც ჯერ კიდევ კომუნისტების დროს დაიდგა, ისიც ვერ ეხმიანებოდა ხუთწლედების რიტმს. კაცმა რომ თქვას, ხელოვნების ამ მართლაც მშვენიერ ქმნილებას ტრადიციული გაგებით ქანდაკებას ვერ ვუწოდებთ, რადგან მონუმენტი ბეტონისაა და თუ დროზე არ მივხედავთ, ისიც ისევე შემოგვეფშვნება თვალსა და ხელს შუა, როგორც ექსპლუატაციიდან დიდი ხნის წინ გამოსული "ხრუშჩოვკები".

ქართველი მწერლის მონუმენტი თავიდანვე ბეტონში გაკეთდა, თუმცა ითქვა, რომ მალე ის ბრინჯაოში ჩამოისხმებოდა. არ გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვი, რომ ამხანაგი შევარდნაძე ამ საშურ საქმეს არ ჩქარობდა, მაგრამ ერთი კარგი საქციელი შემთხვევით მაინც გამოუვიდა. სწორედ იმიტომ, რომ კონსტანტინე გამსახურდია საბჭოეთის მეხოტბედ არ აღიქმებოდა, მისი მონუმენტი "მოფარებულ ადგილას", გეგეშიძის სკვერში დაბალ კვარცხლბეკზე დაიდგა, რაც ისედაც კამერულ სკულპტურას (ზომების მიუხედავად) ზომიერად გროტესკული ელემენტებით მეტ მომხიბვლელობას მატებს. უკვე დამოუკიდებელ საქართველოში პრეზიდენტი გამსახურდიაც არ უყურებდა მოწყალე თვალით ამ ძეგლს - როგორც ჩანს, კლასიკოსი მამის მონუმენტი უფრო პომპეზურად წარმოედგინა. უკვე პრეზიდენტი შევარდნაძე საერთოდ არაფრის გაკეთებას არ აპირებდა და რაღა გასაკვირია, რომ თენგიზ კიკალიშვილის სკულპტურის ბრინჯაოში ჩამოსხმა საერთოდაც არავის გახსენებია. რაც შეეხება სააკაშვილის დროინდელ საქრთველოს, ეს ძეგლი უკვე ბრინჯაოშიცაა ჩამოსხმული და არქიტექტურული მხარეც მოწესრიგებული, ოღონდ ... ქაღალდზე.

ეტყობა, ყველაფერი მარტო ვაკელ ძველ ბიჭებს უნდა გადავაბრალოთ: აგერ უკვე მერამდენე წელია, მონუმენტი უხამსად გამოიყურება და ეს თითქმის არავის აწუხებს. სკულპტურის ერთი მეტად მნიშვნელოვანი აქსესუარი, - კერძოდ, ფეხებს შუა დაკიდებული სატევარი - ვიღაცამ შავად შეაფერადა და ასე, უმტკივნეულოდ, სატევარი ფალოსად იქცა. როგორც ჩანს, ქვეცნობიერამდე ჩაეძიენ, რადგან სატევარი მართლაც მამაკაცის ატრიბუტია. ასევე აჭრელებულია პიედესტალი - ცხადია, არა ციტატებით კონსტანტინე გამსახურდიას რომანებიდან. სამი წლის წინ, როდესაც იგივე თემაზე ვწერდი, ერთმა ჭკვიანმა კაცმა გული გადამიშალა და სინანულით აღნიშნა: რას ვიზამთ, ისევ საბჭოთა კავშირში ვცხოვრობთ და მხოლოდ იმ სკულპტურას აღვიქვამთ ხელოვნების ნიმუშად, რომელიც უზარმაზარ კვარცხლბეკზეა აღმართულიო. შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ ეს ვაკელი ბიჭები რატომღაც სრულიად გულგრილად უყურებენ ტარას შევჩენკოს მონუმენტს, ასევე ვაკეში, ასევე სკვერში და ასევე დაბალ პიედესტალზე წამომჯდარს. გამსახურდიას მონუმენტის პრობლემა მხოლოდ ვაკელი ბიჭების ანცობა რომ იყოს, გამონაკლისის სახით საქმე უბანში გაირჩეოდა, ვიღაც-ვიღაცეებს წამოუთაქებდნენ და "ბაზარიც" მოკვდებოდა. საქმე უფრო სერიოზულადაა, რადგან ბეტონი სკულპტურისთვის მართლაც შეუფერებელი მასალაა. ეს რომ ასეა, ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ ვისაც ეჭვი არ ეპარება, მაინც არაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ქანდაკება ბრინჯაოში ჩამოისხას. არადა, ქვეყანაში ლითონის დეფიციტი არ შეინიშნება, რაზედაც მოწმობს ბოლო დროს თბილისში დადგმული ახალ-ახალი ქანდაკებები, რომელთა მხატვრული ღირებულება ხშირად ნულის ტოლია.

ხელში მიჭირავს ოფიციალური წერილი, რომელიც თბილისის საკრებულომ 2008 წლის 21 იანვარს ამ მონუმენტის არქიტექტორს თენგიზ თევზაძეს გამოუგზავნა. მასში ვკითხულობთ: "ბატონებო, თქვენი 2008 წლის 3 დეკემბრის (N3750) წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მიერ დამტკიცებული 2009 წლის ბიუჯეტის ქალაქგაფორმებით ღონისძიებებში გათვალისწინებულია კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლის რეკონსტრუქცია. თქვენთვის საინტერესო საკითხების დასაზუსტებლად შეგიძლიათ მიმართოთ კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს". ადვილი მისახვედრია, რა დააინტერესებდა მონუმენტის არქიტექტორს - არც მხოლოდ არქიტექტურული ნაწილის მოგვარება და არც მხოლოდ საკუთარი ჰონორარი, თუმცა ასეც რომ ყოფილიყო, მაინც არც ერთი არ შესრულებულა. შემდეგ, როგორც ხდება ხოლმე ჩვენთან, მერიამ ხარჯთაღრიცხვა მოითხოვა და საბოლოოდ ასევე ქაღალდზე საჭირო თანხაც (329 000 ლარი) ჩაიწერა. ამ თანხაში შედის: თაბაშირის მოდელის დამზადება (ბეტონიდან ყალიბის აღება ვეღარ მოხერხდება - უფრო იმიტომ, რომ შარშანწინ, გეგეშიძის ბაღში სოსისების ჯიხურის ჩადგმასთან დაკავშირებით, ძეგლის "გაკეთილშობილება" მოინდომეს და სკულპტურა თვითნებურად, ავტორთან შეუთანხმებლად, გადაიღება); ამ მოდელიდან ძეგლის ბრინჯაოში ჩამოსხმა; არქიტექტურული ნაწილის მოწესრიგება და ჰონორარი, რომელიც ქანდაკების ავტორსა და არქიტექტორს საერთოდ არ აუღიათ. ყველა ეს სამუშაო ცალ-ცალკე გარკვეული თანხა ჯდება და, კანონის თანახმად, ზოგზე ან ტენდერი უნდა გამოცხადებულიყო, ანდაც ხელშეკრულებები გაფორმებულიყო სამუშაოს შემსრულებლებთან. სამწუხაროდ, მსგავსი არაფერი მომხდარა და ძეგლის რეკონსტრუქციისათვის გამოყოფილი თანხა, ფაფუუ, სადღაც გაქრა. რატოოომ? მე რომ აზდაკი ვიყო, გიპასუხებდით: ვინც თვლა არ იცის ათამდე და ასე შემდეგ. მაგრამ მე აზდაკი არ ვარ, ეს ერთი; და მეორეც, საკრებულოშიც და მერიაშიც ათამდე დათვლაც კარგად იციან, ასამდეც, ათასამდეც და ასი ათასამდეც. ჩვენ კი ის ვიცით, რომ მანძილი საკრებულოდან მერიამდე, ანუ თავისუფლების მოედნიდან შარტავას ქუჩამდე, მეტრებსა და კილომეტრებში არ იზომება.

ჟურნალისტიკის უკლებლივ ყველა სახელმძღვანელოში ამოიკითხავთ, რომ ჟურნალისტი მის მიერ დასმულ საკითხს ბოლომდე უნდა ჩაეძიოს. მეამაყება, ზოგჯერ მეც რომ ვიცავ პროფესიულ სტანდარტს - ამ თემაზე უკვე მესამედ ვწერ. რაც მთავარია, ვიმედოვნებ, რომ ოდესმე დაიწერება სახელმძღვანელო, თუ როგორ უნდა მუშაობდნენ მერია და საკრებულო, თორემ "კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" კარგა ხნის მიღებული გვაქვს. რა კონტექსტში განიხილება მსგავსი შემთხვევები, სამწუხაროდ, არც ისე ცოტა, ეს უკვე ამ სახელმძღვანელოს სავარაუდო ავტორის სინდისზე იყოს.

# სპორტი

## ქართველთა წარმატებული შაბათი

ევროპაში მოსაპარეზე ქართველი კალათბურთელებისთვის, გასული შაბათი საკმაოდ წარმატებული გამოდგა, თუმცა მოდით, საკალათბურთო ლეგიონზე საუბარს NBA-თი შევუდგეთ.

რეგულარული სეზონის მორიგ შეხვედრაში ატლანტელი "ქორები" ჩიკაგოში ადგილობრივ "ხარებს" ესტუმრნენ და მატჩი ანგარიშით 98:101 დათმეს.

ამ შეხვედრას მაიკ ვუდსონის შეგირდები საკუთარ აქტივში ნამდვილად ვერ ჩაიწერენ. ჯო ჯონსონის გარდა ჯორჯიელთა ვერც ერთ კალათბურთელს ვერ გამოვყოფთ. მართალია "ჰოუქსის" ძირითადმა ცენტრმა ალ ჰარფორდმა ორმაგი დუბლი მითვალა (15 ქულა, 12 მოხსნა), მაგრამ უნდა ითქვას, რომ მთლიანობაში ჰარფორდმაც სუსტად ითამაშა - მარგი ქმედების კოეფიციენტი მინუს 14 გახლდათ. რაც შეეხება ჯონსონს მან თამაში 40 ქულით, 6 მოხსნით და 4 შედეგიანი გადაცემით დაასრულა, მაგრამ მარტო ამ კალათბურთელის კარგი გარჯა "ხარების" დასამარცხებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. ზაზა ფაჩულიას არც ამჯერად ჰქონდა საკმარისი სათამაშო დრო, ქართველმა ცენტრმა 18 წუთში 4 ქულა, ერთი მოსხნა და სამი ჩაჭრა ჩაიწერა საკუთარ ანგარიშზე.



*ფაჩულია 18 წუთში 4 ქულას დასჯერდა*

გაცილებით სასიამოვნო ინფორმაციები მოვიდა ევროპიდან, სადაც შაბათს ქართველმა კალათბურთელებმა საკმაოდ მაღალ დონეზე ითამაშეს. ესპანეთის ჩემპიონატში მადრიდული "ფუენლაბრადა" "მანრესას" მასპინძლობდა. უაღრესად დაძაბული მატჩი სტუმართა გამარჯვებით - 84:81 დასრულდა, ნიკა ცქიტიშვილი კი თავის გუნდში საუკეთესო იყო. 19 ქულა, ორი მოხსნა, ერთი ჩაჭრა და ორიც დაფარება ასეთია ნიკას მონაგარი.

ბრწყინვალე ფორმაშია ხორვატულ "ზადარში" მოთამაშე ვლადიმერ ბოისა, რომელმაც ზედიზედ მესამე მატჩი ჩაატარა უმაღლეს დონეზე.

ადრიატიკის ლიგაზე, ხორვატულ დერბი გაიმართა. საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა "ზაგრებთან" გასვლითი შეხვედრა სასტარტო ხუთეულში დაიწყო და მოედანზე გატარებულ 32 წუთში 13 ქულა, 6 მოხსნა და 4 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

დაძაბული დაპირისპირების ბედი ბოლო წამებზე გაირკვა, რომელიც მოწინააღმდეგეზე ოდნავ უკეთ "ზადარის" კალათბურთელებმა ჩაატარეს და 97:95 მოიგეს.

ამასობაში ხორვატიაში გამოარჩიეს ის კალათბურთელები, რომლებიც ოლ სტარში მიიღებენ მონაწილეობას და, რა თქმა უნდა, ეს ამბავი ვლადიმერ ბოისას გარეშე არ ჩაივლის. ხორვატიაში ყველა ვარსკვლავის მატჩი, ისევე როგორც უმეტეს ქვეყნებში, გეოგრაფიული პრინციპით იმართება, ოღონდ ერთმანეთს ჩრდილოეთ და სამხრეთ რეგიონების წარმომადგენლები ერკინებიან. ბოისა სამხრეთის ნაკრებშია. ესეც სრული გუნდის შემადგენლობა:

როკ სტიპკევიჩი, ჰროვე პერიჩი, მარკო კარი, მიკა დაუნსი, ვლადიმერ ბოისა (ყველა ზადარი), ტონი ბიზაჩი (ტრიგორი), მირა ბილანი, ლუკ პეტკოვიჩი (შიბენიკი), მარიო დელასი, ჯერი მიკურა (სპლიტი), მეტ მვრა (ბორიკი), ანტონიო ოსტრიჩი (დუბროვნიკი), ალენ ბლესიჩი (კასტელი).

საბერძნეთის ჩემპიონატში კარგად ჩაატარა მატჩი გიორგი შერმადინმა. იმის გათვალისწინებით, რომ "პანათინაიკოსის" მეტოქე პირველობის აუტსაიდერი "ილისიაკოსი" იყო, "პაოს" თავკაცმა, დუშან ობრადოვიჩმა საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა ცენტრს სოლიდური სათამაშო დრო გამოუყო. ქართველმაც შეიფერა მისთვის ბოძებული სათამაშო დრო და წარმატებითაც ითამაშა.

მთლიანობაში შერმადინმა მოედანზე 20,21 წუთი დაჰყო, რომლის განმავლობაში 11 ქულის, 3 მოხსნის, 2 დაფარებისა და თითო ჩაჭრა-პასის მოხვეჭა მოახერხა. თავად შეხვედრა "პაოს" სრული უპირატესობით მიმდინარეობა და 94:62 დასრულდა.

გერმანულ ბუნდესლიგაში მერვე გამარჯვება მოიპოვა ლაშა გამყრელიძის "მიტელდოიჩერმა", სამწუხაროდ ქართველ ლეგიონერს მორიგი ტურის შეხვედრაში არ უთამაშია.

## კობიაშვილმა "ჰერტას" მაისური მოირგო

მას შემდეგ რაც გელზენკირხენის "შალკეს" მთავარ მწვრთნელად ფელიქს მაგათი დაინიშნა, ლევან კობიაშვილის საქმეები უკან წავიდა. თუ სეზონის სტარტზე მაგათი "კობის" თამაშის საშუალებას მაინც აძლევდა, ბოლო ორი თვის განმავლობაში ქართველი ფეხბურთელი "შალკეს" განაცხადშიც კი ვერ ხვდებოდა. ცხადი იყო, რომ ზამთარში კობიაშვილი კლუბს შეიცვლიდა. დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და გელზენკირხენის "შალკეს" ნახევარმცველი, ლევან კობიაშვილი კარიერას ბერლინის "ჰერტაში" განაგრძობს.

"ასოშეიტედ პრესის" ცნობით დედაქალაქურმა კლუბმა 32 წლის ქართველთან მიმდინარე სეზონის ბოლომდე გააფორმა კონტრაქტი, რომელიც ავტომატურად კიდევ ორი წლით გახანგრძლივდება. ეს იმ შემთხვევაში, თუ "ჰერტა" გერმანიის ბუნდესლიგაში ადგილს შეინარჩუნებს.


*კობიაშვილი და "შალკე" დასრულდა*

"ჰერტას" რომ არ ულხინს, ამაზე ცხრილიც მეტყველებს, რომლის ფსკერზეც სახიფათოდ მოკალათებულან ბერლინელები.

17 ტურის შემდეგ, "ჰერტას" 6 ქულით, სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილი უკავია.

ისიც ვთქვათ, რომ ქართველი ფეხბურთელი მიმდინარე კვირაში "ჰერტას" მეორე შენაძენია. იქამდე კი ბერლინელებმა, იჯარით, ლევერკუზენის "ბაიერის" ფორვარდი, თეოფანის გეკასი აიყვანეს.

…ლევან კობიაშვილი "შალკეში" 2003 წლიდან თამაშობს. იქიდან მოყოლებული ქართველი ლეგიონერი ძირითადი შემადგენლობის წევრად მიიჩნეოდა (ბუნდესლიგაში 167 მატჩი და 9 გოლი). ძირითადიდან სათადარიგოებში კი მას შემდეგ გადაინაცვლა, რაც "შალკე" ფელიქს მაგათს ჩააბარეს. კლუბიდან წასვლის მიზეზიც სწორედ მაგათის "შალკეში" მოსვლაა.

### კლინსმანი? არასოდეს

"ლივერპულს", რომ პრობლემები აქვს, საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს. ბრიტანულ მედიაში ისიც იწერება, რომ სულ მალე თანამდებობას დატოვებს რაფა ბენიტესი, ასახელებენ ესპანელის სავარაუდო შემცვლელებსაც და მათ შორის ერთ-ერთი იურგენ კლისნმანიც გახლავთ, რომელმაც ამასწინათ მერსისაიდულ კლუბში მუშაობის სურვილი თავად გამოთქვა.

თუმცა ეტყობა არც ბენიტესს გადააყენებენ და არც კლინსმანს აქვს "ლივერპულში" მუშაობის შანსი. "კლინსამნი "ლივერპულის" მწვრთნელად? ეს არასოდეს მოხდება. წარმოდგენა არ მაქვს, რას გულისხმობდა კლინსამნი, როდესაც "ლივერპულზე" საუბრობდა. საერთოდ ბენიტესის გაშვების საკითხი დღის წესრიგში არ დგას, გუნდს კი აქვს პრობლემები, მაგრამ რაფა არაფერ შუაშია", - განაცხადა ბრიტანელ ჟურნალისტებთან საუბარში, მერსისაიდული კლუბის ერთ-ერთმა მფლობელმა ტომ ჰიკსმა.

### ლაპორტამ წარმატება შეაფასა

"ბარსელონამ" სეზონში მეექვსე ტიტული მოიგო. კატალონიელებმა დაამყარეს რეკორდი, რომელსაც ალაბთ ვერავინ გააუმჯობესებს, თუ ევროპულ საკლუბო ფეხბურთს რაიმე ტურნირები არ დაუმატეს. "ბარსას" რეკორდის განმეორბა შესაძლებელია, თუმცა საოცრად რთული.

საკლუბო მუნდიალის მოგების შემდეგ კატალონიური კლუბის პრეზიდენტმა ჟოან ლაპორტამ, რომელიც სულ მალე დაიტოვებს თავის თანამდებობას განაცხადა: "ეს ისტორიული გამარჯვებაა, რომლითაც მსოფლიოს მრავალ კუთხეში ხარობენ. ჩვენ მსოფლიოს საუკთესო კლუბი ვართ, ჩვენი წარმატება შეიძლება ვინმემ გაიმეოროს, თუმცა ვერ გააუმჯობესებს. ჩვენ შევქმენით კლუბი, რომელიც წაფორხილების გარეშე მუშაობს, ვიფქრობ საუკთესო პერიოდია კლუბში საპრეზიდენტო არჩევნების გასამართად, რაც შეეხბა გვარდიოლას მან "ბარსელონაში" უნდა განაგრძოს მუშაობა".

### "სიტიში" ჰიუზი მანჩინიმ შეცვალა

დღეიდან "მანჩესტერ სიტის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე იატალიელი სპეციალისტი რობერტო მანჩინი იმუშავებს, რომელსაც მილანის "ინტერთან" ერთად სამჯერა ქვს მოგებული სკუდეტო.

"შემადგენლობის გასაძლიერებლად და საკლუბო ინფრასტრუქტურის განსავითარებლად, ზაფხულში უდიდესი თანხა დაიხარჯა. გუნდსაც მიზანი განხორციელებული ინვესტიციის მიხედვით დავუსახეთ, მაგრამ 11 მატჩში 2 მოგება ნამდვილად არ არის ის შედეგი, რაც ჩვენ გვსურს. კლუბის მფლობელი შეიხი მანსური და დანარჩენი ხელმძღვანელები თვლიან, რომ სიტუაციის გამოსასწორებლად ფუნდამენტალური ცვლილებებია საჭირო. ამიტომ, ჩვემ იძულებული ვართ მარკ ჰიუზს დავემშვიდობოთ და მას მადლობა გადავუხადოთ გაწეული სამუშაოსთვის. ჰიუზის ადგილს რობერტო მანჩინი დაიკავებს, რომელთანაც კონტრაქტი უკვე გაფორმებულია. იტალიელს ასისტენტობას ბრაიან კიდი გაუწევს", - აღნიშნა "სიტის" პრეზიდენტმა, ჰალდუნ ალ მუბარაქმა კლუბის ოფიციალურ ვებგვერდთან საუბრისას.

"ქალაქელთა" ასეთი გადაწყვეტილება სავარაუდო იყო, "სიტის" მსევეურებს გუნდის სუპერკლუბად ქცევა სურთ, ამისთვის ისინი საკმაოდ სოლიდურ თანხებს ხარჯავენ და ვასრსკვლავების შეძენას არ ერიდებიან. ამჟამად "სიტიში" ისეთი ფეხბურთელები არიან შეკრებილი, რომ ეს გუნდი წესით ჩემპიონობისთვის უნდა იბრძოდეს, თუმცა პრემიერლიგის გათამაშების სატურნირო ცხრილში "ქალაქელები" მხოლოდ მეექვსე ადგილზე არიან. სწორედ ეს იქცა მარკ ჰიუზის დათხოვნის მთავარ მიზეზად, მანჩინის კი იმის გაკეთება მოუწევს, რაც ჰიუზმა ვერ გააკეთა.

აღსანიშნავია, რომ ჰიუზის გუნდიდან გაშვება "სიტის" წამყვანმა ფეხბურთელებმა გააპროტესტეს, თუმცა ამას "ქალაქელთა" ხელმძღვანელობაზე გავლენა არ მოუხდენია.

### უარი "მანჩესტერს"

"ინტერში" ჟოზე მურინიოს მისვლის შემდეგ დეიან სტანკოვიჩი გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა. ჩემპიონთა ლიგა იქნება თუ სერია A, სერბ ნახევარმცველს "ნერაძურის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი მუდმივად გარანტირებული აქვს. სტანკოვიჩის ასეთი კარგი თამაში, ბუნებრივია, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ევროპულ სხვა გრანდებსაც. როგორც ირკვევა, სტანკოვიჩის თამაშით ყველაზე მეტად სერ ალექს ფერგიუსონი მოხიბლულა, რომელსაც 20 მილიონი ევრო გამოუნახავს სერბი ნახევარმცველის შესაძენად, მაგრამ პრემიერლიგაში გადაბირებისგან თავი შორს თავად ფეხბურთელს დაუჭერია. მართალია, არც "ინტერია" მოხარული გუნდის ერთ-ერთ ლიდერთან განშორების, მაგრამ 20 მილიონი ევრო ქუჩაში არ ყრია და შესაძლოა, მორატის ოჯახი სტანკოვიჩის გასხვისებას დათანხმებოდა კიდეც, რომ არა თავად დეიანის ასეთი მტკიცე პოზიცია. მან ინგლისელებს შეთავაზებისთვის მადლობა გადაუხადა და იმის მომიზეზებით, რომ მისი ოჯახი იტალიაში კარგად გრძნობს თავს, სერ ალექს ფერგიუსონს უარი შეუთვალა.

### "ევერტონმა" დონოვანი დაიმატა

ინგლისურმა "ევრერტონმა" და ამერიკულმა საფეხბურთო კლუბმა "ლოს ანჯელეს გელექსიმ" ლენდონ დონოვანის ტრანსფერის თაობაზე შეთანხმებას მიაღწიეს. საინტერესოა, რომ ოთხშაბათს დონოვანმა "გელექსისთან" მოქმედი კონტრაქტი კიდევ 4 წლით გაახანგრძლივა, ხოლო აქედან ორ დღეში მისი "ევერტონში" განათხოვრება საბოლოოდ გადაწყდა...

"ლენდონი კარიერის გარკვეულ ნაწილს ჩვენთან გაატარებს. საკითხი უკვე შეთანხმებულია და ამერიკელი იანვრის პირველივე რიცხვებიდან შემოგვიერთდება. დონოვანს ძალიან კარგად ეხერხება შეტევების დაგვირგვინება, რაც "ევერტონის" წინა ხაზის პოტენციალს შესამჩნევად გაზრდის. იმედი მაქვს, ინგლისურ ფეხბურთს იგი იოლად აუღებს ალღოს და თავიდანვე შეძლებს გოლების გატანას. დონოვანის გარდა, კიდევ გვსურს ერთი-ორი ფეხბურთელის დამატება, რათა გაუთავებელი ტრავმიანობის პირობებში "ევერტონი" კვლავ კონკურენტუნარიანი გავხადოთ. მე ისეთი მოთამაშეები მჭირდება, რომლებიც რთულ პერიოდში გუნდის გაძღოლას მოახერხებენ", - აღნიშნავს "ევერტონის" მთავარი მწვრთნელი დევიდ მოიესი.

### ჰუნტელაარს "მილანის" დატოვება სურს

ჰოლანდიის ნაკრებისა და "მილანის" ფორვად კლას-იან ჰუნტელაარს, მობეზრდა "როსონერის" სათადარიგოთა სკამზე ჯდომა და ზამთრის სატრანსეფრო პერიოდში კლუბის შეცვლას გეგმავს. "ვერ გეტყვით დავრჩები თუ არა "მილანში". მსოფლიოს ჩემპიონატი ახლოვდება, მე კი კლუბში ხშირად თამაში არ მიწევს. სამხრეთ აფრიკაში მოხვედრა თითოეულ ფეხბურთელს სურს, მაგრამ მუნდიალზე გამოსვლის შანსი არ მექნება თუ სათადარიგოებში ჯდომას გავაგრძელებ. ნამდვილად არ მინდა, მსგავსი რამ მოხდეს. ლეონარდო მაქებდა, მაგრამ ახლა "მილანი" ერთი ფორვარდით თამაშობს, რაც ჩემს შანსს ამცირებს" - განაცხადა ჰუნტელაარმა. გეტყვით, რომ იტალიურ გრანდს ჰოლანდიელის გაშვება არ სურს, რამდენიმე დღის წინ ადრიანო გალიანიმ აღნიშნა, რომ ზამთარში "მილანს" არცერთი ფეხბურთელი არ დატოვებს.

### გატუზომ "რეალს" ფიზმომზადება დაუწუნა

"მილანის" ნახევარმცველმა ჯენარო გატუზომ თავისი ყოფილი თანაგუნდელი რიკარდო კაკა და "რეალი" შეაფასა. "მე ცოტა ვიცი "რეალის" შესახებ, მგონი ისინი ფიზიკურ ფორმაზე არც ისე ბევრს მუშაობენ. ისეთი ფეხბურთელი, როგორიცაა რიკი, ყოველთვის ვარჯიშობდა იმისთვის, რომ კარგ ფორმაში ყოფილიყო, მაგრამ ის ახლა "რეალში" ბრწყინვალე თამაშს ვერ აჩვენებს. მოდით პირდაპირ ვიტყვი: კაკა "რეალში" - ეს არაა ის კაკა, რომელსაც ჩვენ ვიცნობდით." - აცხადებს რინო.

**"იებმა" ტიაგო უარყვეს**

ბოლო ხანს იტალიურ მედიაში იწერებოდა, რომ "იუვენტუსის" პორტუგალიელი ნახევარმცველი ტიაგო მენდეში ზამითრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნის შემდეგ "ფიორენტინაში" გადავიდოდა, თუმცა ეს ხმები "იების" სპორტულმა დირექტორმა პანტალეო კორვინომ უარყო. "მე ჯერ არ გავგიჟებულვარ, ტიაგოს ყიდვა კი სწორედ სიგიჟე იქნებოდა. არა ამით ფეხბურთელს არ ვაყენებ შეურაცხოფას, უბრალოდ ტიაგო ისეთი სტილის ფეხბურთელია, რომელიც იმ გუნდში უნდა თამაშობდეს, სადაც მწვრთნელს მოედანზე სამი ნახევარმცველი ყავს, "ფიორენტინას" მწვრთნელ ჩეზარე პრანდელის კი ორი ნახევარმცველით მოსწონს თამაში", - აცხადებს კორვინო.

# "ბარსელონამ" ისტორია დაწერა


"ბარსელონა" მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონია

კატალონიურმა "ბარსელონამ" 2009 წელი ტრიუმფალურად დაასრულა, პეპ გვარდიოლას გუნდმა მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატიც მოიგო. 6 ტურნირი და ექვსი ტიტული - ასეთია "ბარსას" მონაგარი. დამეთანხმებით უნიკალური შედეგია, რომელსაც, ალბათ, დიდხანს ვერავინ გაიმეორებს. საკლუბო მუნდიალის ფინალური მატჩის დასრულებისთანავე ფიფას ოფიციალური ვებგვერდის ჟურნალისტი "ბარსას" შვედ ფორვარდ ზლატან იბრაგიმოვიჩს ესაუბრა.

**- "ბარსელონამ" ფეხბურთის ახალი ისტორია დაწერა, ერთი წლის განმავლობაში ზედიზედ მოიგო მეექვსე ტიტული, რას გრძნობთ ახლა?**

- ფანტასტიკური გრძნობაა. მართალია გუნდში არც ისე დიდი ხანია ვარ, მაგრამ ექვსიდან სამი ტიტულის მოგებაში ჩემი მოკრძალებული წვლილიც შევიტანე. რთულია იმის დაჯერება, რომ დღეს მართალაც ისტორიის ახალი ფურცელი დავწერეთ. "ბარსელონა" ისეთი კლუბია, რომ რაიმე ტიტიულის მოგებას ყოველწლიურად აღნიშნავს, მაგრამ 2009 წელი რაღაც განსაკუთრებულია, გუნდმა ყველა ტურნირი მოიგო, რომელშიც კი მონაწილეობდა.

**- ეს ესაა დატოვეთ მინდორი, რა კომენტარს გააკეთებდით დღევანდელ მატჩზე?**

- ეს იყო გუნდური თამაშის გამარჯვება. ურთულესი მატჩი გამოდგა, რასაც ველოდით კიდეც. მართალია, პირველებმა გავუშვით გოლი და თამაშის გადასარჩენად არც ისე დიდი დრო გვქონდა, მაგრამ საკუთარ თავში რწმენა არ დაგვიკარგავს. თავადაც ნახეთ, რომ უპირატესობას მთლიანად ვფლობდით. დიახ, გოლი გავუშვით, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მეტოქე დავღალეთ და ბოლო წუთებზე "ესტუდიანტესის" ფეხბურთელებს ძალა აღარ ჰქონდათ. შემდეგ კი ჯერ პედრომ გაიტანა ფანტასტიკური გოლი და ანგარიში გაათანაბრა, მერე მესიმ დაუსვა ყველაფერს წერტილი.

**- "ბარსელონა" ნახევარფინალურ მატჩშიც მდევრის როლში აღმოჩნდა. ამას რით ახსნით?**

- დიახ, ეს თამაშიც თითქმის იგივე სცენარით წარიმართა, როგორითაც ნახევარფინალი. ფინალშიც და ნახევარფინალშიც ანგარიშის გახსნის არაერთი შანსი გვქონდა, მაგრამ არ გვიმართლებდა. ერთი სიტყვით, ფაქტი ისაა, რომ საბოლოოდ ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც გვსურდა.

**- გუნდს წლეულს შეუერთდით. რას უნდა ელოდოს "ბარსას" ქომაგი მომავალში?**

- ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ "ბარსელონაში" გადმოვედი ტიტულების მოგების სურვილი გახლავთ. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის. ახლა მცირე შესვენება გვაქვს, შემდეგ კი გავაგრძელებთ თამაშს და ტიტულების მოგებას. მერწმუნეთ, გამარჯვებები მწყურია. მსურს ესპანეთის ჩემპიონატის და ჩემპიონთა ლიგის მოგება. თანაც საკმაოდ ახალგაზრდული გუნდი გვყავს. გულშემატკივარს ვპირდები, რომ მომავალშიც არაერთ ტიტულს დავისაკუთრებთ.

**- ვარსკვლავური გუნდის წევრი ხართ, მესი, ხავი, ინიესტა, როგორია ასეთი ფეხბურთელების გვერდით თამაში?**

- ფანტასტიკური. ერთმანეთისგან ბევრს ვსწავლობთ. ჩვენი გუნდის ვარჯიშებზე სიარული სიამოვნების მომგვრელია. გვყავს ზღაპრული მწვრთნელი, რომელსაც უამრავი საინტერესო იდეა აქვს და ამ იდეების განხორციელებას მინდორზე ვცდილობთ.

**- მატჩის ფინალური სასტვენის შემდეგ მუდიმვად მშვიდი გვარდიოლა ტიროდა. გვიამბეთ მის შესახებ, როგორი ადამიანია თქვენი მწვრთნელი?**

- ნამდვილად არ ვიცი, რას ფიქრობდა ბოსი მატჩის დასრულების შემდეგ. ვერანაირად აღწერ იმ გრძნობას. თუ იმდენივე ტიტული არ გაქვს მოგებული ამას ვერ გაიგებთ. წარმოიდგინეთ, სულ რაღაც ორი წელია "ბარსელონას" უდგას სათავეში და მოიგო ყველაფერი რისი მოგებაც შეიძლებოდა. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ფაქტობრივად, ახლა იწყებს სამწვრთნელო კარიერას. მან ისტორია შექმნა. ზოგიერთი მის ადგილზე მოტივაციას დაკარგავდა, პეპი კი ენრეგიით აღსავსეა და ისევე სწყურია ტიტულების მოგება, როგორც იმ დღეს, როდესაც პირველად მივიდა "ბარსელონაში".

**- თქვენი თანაგუნდელი ლიონელ მესი ტურნირის საუკთესო ფეხბურთელად დაასახელეს, რა შეფასებას მისცემდით მის თამაშს ამ ტურნირზე?**

- მან ბრწყინვალე ტურნირი გამართა, თუმცა მესი ყოველთვის და ყველგან ასეთ მაღალ დონეზე თამაშობს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ დღევანდელი გამარჯვება, ისევე, როგორც ადრინდელები, მთლიანობაში გუნდის დამსახურებაა. ერთი თუნდაც გენიალური ფეხბურთელი გუნდის გარეშე ვერაფერს გახდება. მესი ფანტასტიკურია, ამავდროულად მას დანარჩენები უბავენ მხარს.

# წარსულის გახსენება


რონალდოს და ზიდანს ჭილდო სამ-სამჯერ აქვთ მოგებული

ციურიხი საფეხბურთო ზეიმისთვის მზადაა. დღეს ფიფას გალა საღამოზე, 2009 წლის საუკეთესო ფეხბურთელს დააჯილდოებენ. თვალი გადავავლოთ ისტორიას და გავიხსენოთ, თუ რა ხდებოდა აქამდე.

პირველად მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ფიფას ვერსიით 1991 წელს დასახელდა. მაშინ ეს ჯილდო გერმანიის ნაკრების კაპიტანს ლოთარ მათეუსს ხვდა წილად. შეგახსენებთ, რომ 1990 წელს გერმანიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

და აი, უკვე 18 წელიწადია, იმართება ფიფას გალა საღამოები. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულთან ერთად სხვა ნომინაციებიც გაჩნდა. 2001 წელს ამერიკელი მია ჰემი პირველი ქალბატონი იყო, ვინც ქალთა შორის მსოფლიოში საუკეთესოდ დაასახელეს. ტრინიდადელი მარვინ ლი კი პირველი იყო, ვისაც ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის გადაეცა პრესტიჟული ჯილდო.

1993 წელს დაარსდა ფიფა კოკა კოლას რეიტინგი. ამ წამოწყებამ თავისი გამოხატულება პოვა ფიფას დაჯილდოებებშიც. სწორედ ამ დროიდან, ფიფას რეიტინგის მიხედვით, სახელდება წლის საუკეთესო გუნდი (ამ პრიზს იმ ნაკრებს გადასცემენ, რომელიც რეიტინგში პირველ ადგილზეა. წლეულს ამ ჯილდოს ესპანეთის ნაკრები მიიღებს) და ყველაზე პროგრესირებადი ნაკრები.

ცხადია, ფიფა სუფთა თამაშსაც ვერ აუვლიდა გვერდს - უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც ეს ნომინაციაც დაწესდა. გასულ წელს დაარსდა კიდევ ერთი საინტერესო ნომინაცია, კერძოდ, გულშემატკივრები ირჩევენ წლის საუკეთესო გოლს.

დაჯილდოების ცერემონიალი უკვე 18-ჯერ ჩატარდა და ამ ხნის განმავლობაში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად 13 მოთამაშეა დასახელებული. ზოგიერთს ეს ჯილდო რამდენჯერმე აქვს მოგებული: ზინედინ ზიდანი (1998, 2000, 2003), რონალდო (1996, 1997, 2002), რონალდინიო (2004, 2005). ფიფას პრიზი ყველაზე მეტჯერ ბრაზილიელებს აქვთ მოგებული. ზემოხსენებულ რონალდოსა და რონალდინიოს ემატება რომარიო (1994), რივალდო (1999) და კაკა (2007). ასე რომ, 18 დაჯილდოებიდაან 8 ბრაზილიელებმა მოიგეს.

სამბას სამშობლო მხოლოდ ვაჟი ფეხბურთელების გამო როდი გამეფდა ფიფას დაჯილდოებაში. უკანასკნელი სამი წელია, ქალთა შორის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდოს იგებს მარტა.

ბრაზილიასთან ერთად ერთზე მეტად მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული პორტუგალიას (ლუიშ ფიგუ 2001 და კრიშტიანუ რონალდუ 2008) და იტალიას (რობერტო ბაჯო 1993 და ფაბიო კანავარო 2006) აქვთ მოგებული.

წლეულს ფიფას პრიზს ალბათ ლიონელ მესი მოიგებს. ის პირველი არაბრაზილიელი სამხრეთამერიკელი იქნება, რომელიც ამ ჯილდოს აღმართავს.

წლევანდელი დაჯილდოება წინამორბედებისგან განსხვავებული იქნება. უკანასკნელ წლებში ფიფას გალა საღამოს ციურიხის ოპერის თეატრი მასპინძლობდა. ამჯერად ცერემონიალი გაიმართება კონგრესჰაუსში, რომელშიც უფრო მეტი ადამიანი ეტევა. ასე რომ, საღამოს მეტი VIP პერსონა დაესწრება.

ფიფას წლევანდელი გალა საღამო 21 დეკემბერს გაიმართება. მის ტელეტრანსლაციას მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა გეგმავს.

## განცხადება

**შპს "ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო"** (მისამართი: თბილისი, აბასთუმნის ქ. N8ა, მე-5 სართული) ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 6 სექტემბრის N10-54 გადაწყვეტილებით დამტკიცებული "დედაქალაქის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის დებულების დამტკიცების შესახებ" დებულების საფუძველზე

**აცხადებს განმეორებით აუქციონს**

შპს „ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო"-ს ბალანსზე რიცხული, ჩამოწერილი ტრამვაისა და ტროლეიბუსის საკონტაქტო ხაზების დემონტაჟის შედეგად მიღებული ფოლადის მეორადი მილების აუქციონის ფორმით რეალიზების თაობაზე (ქალაქ თბილისის მთავრობის 2009 წლის 31 ივლისის N21.21.716 დადგენილების საფუძველზე 2009 წლის 8 სექტემბერს და 24 ნოემბერს გამოცხადებული, არშემდგარი აუქციონების განმეორებითი აუქციონი).

**სარეალიზებო ქონების სავარაუდო ოდენობა:** სარეალიზებო ქონება დაყოფილია ორ ლოტად და აუქციონი ჩატარდება თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე. დასაშვებია აუქციონში მონაწილეობა და განაცხადის წარმოდგენა, როგორც ერთ, ასევე მეორე ლოტზე.

**ლოტი N1 - ფოლადის მეორადი მილი 219 მმ-იანი 150 მეტრი**

**საწყისი ფასი -** 2250 ლარი

**ბეს ოდენობა** - 40% (900 ლარი)

**"ბიჯი"** - 100 ლარი

**ლოტი N2 - ფოლადის მეორადი მილი 245 მმ-იანი 630 მეტრი**

**საწყისი ფასი -** 12600 ლარი

**ბეს ოდენობა** - 40% (5040 ლარი)

**"ბიჯი"** - 300 ლარი

გადახდილი "ბე"-ს თანხა ჩაითვლება საბოლოო ანგარიშსწორების ანგარიშში.

**აუქციონში მონაწილის ბილეთის** ღირებულებაა 50 ლარი თითოეული ლოტისათვის. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს "ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო"-ს საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად საწარმოს (რეგისტრატორს) წარმოუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგიტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ქონების ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

აუქიონზე შეძენილი ფოლადის მეორადი მილების დემონტაჟის (დაახლოებით 70%), დაჭრის, დატვირთვისა და გატანის ხარჯებს გაიღებს აუქციონში გამარჯვებული. აუქციონში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას საჭირო სანოტარო ხარჯები ასევე უნდა უზრუნველყოს აუქციონში გამარჯვებულმა.

**თანხის ("ბე"-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის, ქონების საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტები:**

სს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი

ბანკის კოდი: N220101502

ანგარიშსწორების ანგარიში: N200467165

საიდენტიფიკაციო კოდი: N202168359

შპს "ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო"

**აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდაწარმოადგინონ:**

- დამტკიცებული ფორმის მიხედვითშევსებული განაცხადი;
- „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ფიზიკური პირის შემთხვევაში: პირადობის მოწმობა(პრეტენდენტი სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს პირადობის მოწმობის დედანს, რომლის ასლიც რჩება რეგისტრატორთან);
- იურიდიული პირისათვის: განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და სადამფუძნებლო დოკუმენტაცია: პარტნიორთა (აქციონერთა ან სხვა) კრების ოქმი და წესდება (ან სადამფუძნებლო დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული ასლები);
- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

**განაცხადები მიიღება:** 2010 წლის 20 იანვრის 12 საათამდე.

**აუქციონი გაიმართება:** 2010 წლის 20 იანვარს 15.40 საათზე.

**აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია**

აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში დაფაროს შეძენილი ქონების საბოლოო ღირებულება, გააფორმოს შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი.

აუქციონში დამარცხებულს გადახდილი „ბე" დაუბრუნდება აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, მოთხოვნის საფუძველზე.

განაცხადების წარმოდგენა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: თბილისი. აბასთუმნის ქ. N8ა მე-5 სართული. ტელ.: 20 43 00; მობ.: 899 19 47 47

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო აცხადებს ტენდერს მთავარი სამმართველოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და დიზელ-გენერატორების ტექნიკური მომსახურების (სერვისი) შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი:302003174, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. ქუთაისი ჯავახიშვილის ქუჩა N12 ოთახი N23, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადაა 2009 წლის 22 დეკემბრიდან 2010 წლის 11 იანვრის 18.00 საათამდე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლია გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას ზემოთაღნიშნულ მისამართზე.

1. გასაწევი მომსახურეობის ჩამონათვალი და მომსახურების გაწევის ადგილი.

**ლოტი 1** - "მიცუბისი-პაჯერო" - 2 ერთეული, "ოპელი-ვექტრა" - 5 ერთეული, "მერსედესი" - 5 ერთეული, "შკოდა-ოქტავია" - 17 ერთეული, "შევროლე-ლაცეტი" - 9 ერთეული, "ფოლცვაგენ-პასატი" - 3 ერთეული, "ბე-ემ-ვე" - 2 ერთეული, "მიცუბისი ლ-300" - 1 ერთეული, "ფორდ-სკორპიო" - 1 ერთეული, "ოპელ-მონტერეი" - 1 ერთეული, "ჰიუნდაი-ტუკსონი" - 8 ერთეული, "ჰიუნდაი-აცენტი" - 1 ერთეული, "ჰიუნდაი-ტერაკანი" - 1 ერთეული, ტოიოტა-პრადო - 1 ერთეული, ლენდროვერი - 1 ერთეული ტექნიკური მომსახურება ქ. ქუთაისში.

**ლოტი 2** - "ვაზ-2107" - 3 ერთეული, "ვაზ-2106" - 3 ერთეული, "ვაზ-21214" და "ვაზ-21213" - 45 ერთეული, "უაზ-31514" - 17 ერთეული, დიზელ-გენერატორი 5 ერთეული. ტექნიკური მომსახურება ქ. ქუთაისში.

**ლოტი N3 -** "ტოიოტა ჰაილუქსი" - 33 ერთეული, "ნისან-ნავარა" - 8 ერთეული, ტექნიკური მომსახურება ქ. თბილისში.

2. ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურეობის გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2010 წლის 31 დეკემბრამდე.

3. იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და დიზელ-გენერატორების ტექნიკური მომსახურება(სერვისი) უნდა განხორციელდეს ქ. ქუთაისში ან/და ქ. თბილისში (მინიმუმ 5 ავტოტრანსპორტო საშუალებაზე ერთდროულად).

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2010 წლის 12 იანვრის 11.00 საათიდან 14.00 სათამდე მისამართზე: ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქუჩა N12, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

6. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

7. შერჩევის დროს დაზუსტებას არ ექვემდებარება წინამდებარე განცხადების მე-5 პუნქტით მოთხოვნილი ცნობები და ინფორმაცია.

8. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

9. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

10. ტენდერი ჩატარდება 2010 წლის 12 იანვრის 14 საათზე მისამართზე: ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქუჩა N12.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გივი ვაჩიბერაძე ტელ. (899) 69 82 87.

**სატენდერო კომისია**

## საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან მიიღო სესხი ჯანდაცვის სექტორის განვითარების (ყოფილი პირველადი ჯანდაცვის განვითარების) პროექტის დასაფინანსებლად და აპირებს ამ სესხის ნაწილით დააფინანსოს ქ. გორის ***"საოჯახო მედიცინის რეგიონული სასწავლო ცენტრის რეაბილიტაცია"*** *(მის: საქართველო, შიდა ქართლის რეგიონი, გორის რაიონი, ქ. გორი, ცხინვალის გამზ. N 14), ხელშეკრულების* N1.1/NCB/CW/027

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი ამ განცხადებით იწვევს ყველა დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციას შიდა ქართლის რეგიონში, გორის რაიონში, ქ. გორის საოჯახო მედიცინის რეგიონული სასწავლო ცენტრის სარეაბილიტაციო სამუშაოების კონკურსში (ტენდერში) მონაწილეობისათვის. კერძოდ, საოჯახო მედიცინის რეგიონული სასწავლო ცენტრის ორსართულიანი შენობის რეაბილიტაციის სამუშაოების (დაახლ. 1200 კვ.მ) განსახორციელებლად, სრული ინფრასტრუქტურით. სამუშაოების განხორციელების პერიოდია 9 თვე.

საკონკურსო დოკუმენტების პაკეტი კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ **2009** წლის **21 დეკემბრიდან**, ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10**-დან **18** საათამდე შემდეგ მისამართზე:

*საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი*

*ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.*

*საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი*

*ტელ/ფაქსი: (995 32) 38-82-10, 38-82-20*

კონკურსის მონაწილემ უნდა გადაიხადოს ***150*** *(ასორმოცდაათი)* ლარი საკონკურსო დოკუმენტების პაკეტის მისაღებად. აღნიშნული თანხა კონკურსანტმა უნდა გადაიხადოს ბანკში, რომლის რეკვიზიტებია:

ბანკი: სს "ბანკი რესპუბლიკა" - ცენტრალური ფილიალი, ჭავჭავაძის გამზ. N11

ბანკის კოდი: 220101757

ანგარიშის ნომერი: 23408000189

ანგარიშის მფლობელი: საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

